საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ხუთშაბათი, 9 დეკემბერი 1920 წ.

ერთობა

ფასი 20 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 500 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 20 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 20 მანეთი მეოთხე გვერდზე 15 მანეთი, სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (10 × 2) 500 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება, რედაქცია და კანტორა იმყოფება კრილოვის ქ. № 4, შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან, რედაქციის ტელეფონი 14—70, კანტორის 16—82

№ 281 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 281

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომანდირი, ოფიცრები და ჯარისკაცები 1-ლი საარტილერიო დივიზიონისა უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ლეიტენანტ

ივანე პეტრეს ძე წულუკიძის

გარდაცვალებას. (39916—2—2)

ღრმათ დამწუხრებულნი კირილე ლუკას ძე სიხარულიძე, (პატარა ქალიშვილი) ვალენტინა კირილეს ასული სიხარულიძე, დედმამა მართა და ვარდენი ახალაძე, დები: ნატალია, ფედოსი და ქრისტინე, ძმები: პეტრე და კასიანე, რძალი ლიდა, სიძეები: ივანე ვაჩეიშვილი, და ვალერიან ცინცაძე, აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს რომ ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გურიაში, კოხნარის თემში, პირველის ძვირფასი და დაუვიწყარი მეუღლე, მეორის გაუხარებელი დედა, მესამის და მეოთხის შვილი, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე, მერვე და მეცხრის და, მეათის მული, მეთერთმეტის და მეთორმეტის ცოლის და

პელაგი ვარდენის ასულის სიხარულიძისა

რომლის დაკრძალვა მოხდება კოხნარის თემის მაცხოვრის ეკლესიაზე, კვირას, 12 დეკემბერს. (3927—2—1)

ღრმად დამწუხრებულნი: გიორგი ხუციშვილი, ნატალია ხუციშვილისა, მარგარიტა, მიშა, ვასო, ჟორჟიკა და რაია ხუციშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფას

რაჟდენ ჯავახიშვილის

მიცვალებულს წაასვენებენ ქ. გორში და დაკრძალავენ იქვე. (3929—2—1)

ღრმათ დამწუხრებულნი ქმარი გიორგი და შვილი ლუბა კოპალეიშვილი, დედა ევგიტო და ძმები ნოე, მიხაკო, ვანიჩკა, კოლია, და ლიდა კრავეიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს რომ ამა წლის 5 დეკემბერს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ფედოსი დიმიტრის ასული კოპალეიშვილი

დაკრძალვა მოხდება 9 დეკემბერს წმინდა ნინოს სასაფლაოზე გამოსვენება გროზენევის ქუჩიდან № 3 დან, ნაშუადღევის 3 საათზე. (3930—1—1)

დამწუხრებულნი: მეუღლე ნინო, შვილები: გიორგი, დავითი, სოფიო, ელენე და ანტონი და რძალი მარიამი, ძმა არაქელა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფას

არჩემ გრიგორის ძე ოქუაშვილის (ოქოევი)

მიცვალებულს გამოასვენებენ გვარდიის საავათმყოფოდან, 10 დეკემბერს დილის 11 ს. დაკრძალვა ხოჯივანქის სასაფლაოზე. (3932—1—1)

დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდათ

კარლ კაუცკის ახალი წიგნი

სოციალიზმის პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში

თარგმანი გერმანულ ხელნაწერიდან

გამოცემა ს. ს.-დ. მ. პ. ცენტ. კომიტეტისა.

წიგნი ღირს 70 მ. წიგნების შეძენა შეიძლება გაზ. „ერთობის“ კანტორაში.

მუშათა ორგანიზაციები რომლებიც თითონ წაიღებენ რედაქციიდან არა ნაკლებ ათი ცალისა წიგნი დაეთმობათ 20%.

დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდათ

ობოლი მუშის

მოთხრობები

„საპატიმროს დღიურიდან“

1 წამებულნი, 2 ახალი.

გამოცემა **უშანგი ელიავასი.** იყიდება რკინის გზის ყველა კიოსკებში, კანტორა „განათლებაში“ და სხვაგან. (5—3)

რესპუბლიკის ოფიცერთა ეკონომიურმა საზოგადოებამ

მიიღო დიდძალი

მანუფაქტურა

საბნები, მაზარები, შარვლები და სხვ; საქონელი იყიდება წევრებზე და კერძო პირებზე სხვადასხვა ფასებში საზოგადოების საფართლო მაღაზიიდან (რუსთაველის პრ.) საქონელი შეიძლება მიეცეს დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეების ადგილობრივ კომიტეტებს და კოოპერატივებს

ნისიათაც

აღნიშნული საქონელი გაიყიდება ბითუმათ კოოპერატივებზე და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებზედაც. გარდა ამისა საზოგადოებას აქვს შეძენილი საოლი ხარისხის ხავი, რომელიც იყიდება საზოგადოების ყველა მაღაზიებიდან. მოსამსახურეთა კომიტეტებს და ჯარის ნაწილებს შეუძლიანთ შეიძინონ ჯგუფობით საზოგადოების მთავარ საწყობიდან. ცნობების მიღება შეიძლება გამგეობის ბინაზე—კირკის ქ. საკუთარი სახლი.

გამგეობა.

(ნ. 3—3)

იყიდება სახნავი მიწა

სიღნაღის მაზრაში ალაზან გაღმა კაპალის მახლობლად სოფელ თელაზედ სამოსახლე ალაგი 6 დესეტინამდის. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ აქ მოსკოვის შესახვევი № 13. იკითხეთ მიხეილ ვაჩნაძე. (3933—2—1)

სახელმწიფო ოპერა

ხუთშაბათს, 9 დეკემბერს პირველად განახლება

ტოსკა

პარასკევს, 10 დეკემბერს **აბესალომ და ეთერი.** შაბათს 11 დეკემბერს მუშებისთვის ბალეტის სპექტაკლი მორდკინისა **კოპელია.** კვირას 12 დეკემბერს ქართულ ენაზე **ლალატი** დასაწყისი 8 საათზე. (ნ 1—1)

სახელმწიფო დრამის თეატრი

ქართული დრამის სეზონი 1920—1921 წ.

კვირას, დეკემბრის 12-ს

სახალხო გვარდიის საღამო

მოხსენება თანამედროვე მომენტის შესახებ

ბერდო-ზმანია

ალ. შანშიაშვილისა.

დეკორაციები და ტანისამოსი მხატვარ ვალ. სიდამონ-ერისთავისა. მუსიკა დ. არაყიშვილისა. ბალეტი და ხორო. სიმფონიური ორკესტრი ალ. გველესიანის ლოტბარობით. დასაწყისი საღ. 8 ს. რეჟისორი ალ. ახმეტელი. ბილეთები კასაში. (ნ. 3—1)

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობა

ამით აცხადებს თავის წევრთა და არა წევრთა საყურადღებოთ, რომ 20 დეკემბერს 1920 წ. საღამოს 6 საათზე ქუთაისის წმინდა ნინოს ქალთა გიმნაზიაში დანიშნულია ქუთაისის განყოფილების წითელი ჯვრის საზოგადოების წევრთა

წლიური საზოგადო კრება

განსახილველი საგნებია: 1) 1919 და 1920 წლების ანგარიში, 2) 1920 და 1921 წლის ხარჯთ აღრიცხვა, 3) გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა და 4) მიმდინარე საკითხები. იმ შემთხვევაში თუ აღნიშნულ დროზე არ გამოცხადდება წევრთა კანონიერი რიცხვი, საზოგადოების წესდების 77 მუხ. თანახმად, იქვე ერთი საათის შემდეგ სდგება განმეორებითი კრება და ჩაითვლება კანონიერათ, მიუხედავათ დამ. წევრთა რაოდენობისა. ამ საზოგადოებით დაინტერესებულ არა წევრთ სრული უფლება აქვთ მობრძანდენ და მიიღონ კრებაში მონაწილეობა, თუ კრების გახსნამდის ჩაეწერებიან საზოგადოების წევრებათ. (ნ. 1—1)

პურის და სიმინდის მომარაგება

მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ განაცხადა დამფუძნებელ კრებაში, რომ საქართველოში არც ერთს მობილიზაციას არ ჩაუვლია ისე ბრწყინვალეთ, როგორც ჩაიარა უკანასკნელმა მობილიზციამ. დეზერტირობას თითქმის სულ არ ჰქონია ადგილი. გამოცხადდა ყველა, ვისაც კი ბეგარა მოუწევდა. ხალხს აშკარათ ეტყობა აღფრთოვანება და ხალისი დემოკრატიული სამშობლოს თავდაცვისადმი. ვინც შინ რჩება, იმის მოვალეობაა, ჯარს ზურგი გაუმაგროს და ჯარის მდგომარეობა მოაწყოს ისე, რომ იგი ღირსეულათ იყოს ჩაცმულ-დახურული, რაც შეიძლება უკეთესათ იკვებებოდეს და რაც შეიძლება ადვილი ასატანი იყოს მისი მძიმე ხვედრი. უპირველესი მნიშვნელობა კვებას აქვს. ის პური, რომელიც რესპუბლიკის ხელშია დღეს მომარაგებული, სრულიად საკმარისი არ არის იმისათვის, რომ ვთქვათ ფრონტი სავსებით არის დაკმაყოფილებული და უზრუნველყოფილი.

ამ საქმისათვის საჭიროა მთელმა ხალხმა სახელმწიფო საჭიროებისათვის გამოიღოს ნაწილი იმ პურისა, რომელიც მას წლის სარჩოდ აქვს შემონახული და რომლისგაყიდვითაც ფიქრობს იგი თავის რჩენას. სტატისტიკური ცნობები, რომლებიც შეკრებილია წლევანდელ მოსავლის შესახებ, გვიმტკიცებენ, რომ პურის და მეტადრე სიმინდის რაოდენობის მხრივ ჩვენი ქვეყანა წელს ბევრად უკეთესად არის დაკმაყოფილებული, ვიდრე იყო შარშან. მოსავალიც ბევრად უკეთესი მოვიდა და დათესილიც ბევრად უფრო მეტი მიწაა. თუ წარსულ წელსაც კი ჩვენს ხალხს არ ემჩნეოდა შიმშილობის მწვავე ნიშნები, ეჭვი არ არის, დღევანდელს წელიწადს იგი ბევრად უფრო ადვილათ აიტანს. თუ შარშანაც კი სოფლის ხალხმა შესძლო ბაზარზე გამოეტანა თავისი მოსავლის ნაწილი, ეჭვი არ არის, რომ წელს იგი ბევრად უფრო მეტს გამოიტანს გასასყიდათ.

ჩვენი მდგომარეობა არ არის მისული იმ ეკონომიურ უკიდურესობამდე, რომ ჩვენ მივმართოთ იმ ზომებს, რომლებსაც ხმარობს ბოლშევიკური რუსეთის მთავრობა. მაგრამ ჩვენ აუცილებლად დაგვჭირდება ისეთი ზომა, რომელიც არც სოფლის ხალხისათვის იქნება სამძიმო და რესპუბლიკასაც მისცემს მისთვის საჭირო პურს და სიმინდს. ეს ზომა იმაში მდგომარეობს, რომ ყოველმა სოფლის მეურნემ, რომელსაც განზრახული აქვს პურის ან სიმინდის გაყიდვა, განსაზღვრული ნაწილი ამ გასასყიდი პურის ან სიმინდისა მიჰყიდოს სახელმწიფოს და არა კერძო პირებს. ეს ნაწილი არ იქნება დიდი და მისი ამ წესით გაყიდვა არავითარს ზიანს არ მიაყენებს სოფლის მეურნის ბიუჯეტს. დანარჩენი, უფრო დიდი ნაწილი ხორბლეულობისა გაიყიდება ჩვეულებრივი წესით, ე. ი. სრულიად თავისუფლად.

მომარაგების სამინისტროში მუშავდება სწორედ ამ შინაარსის დეკრეტის პროექტი, რომელიც მოკლე ხანში დამფუძნებელ კრებაში იქნება წარდგენილი. მთელმა ჩვენმა დემოკრატიამ მხარი უნდა დაუჭიროს ამ დეკრეტის გატარებას ცხოვრებაში. სოფლის ხალხი, რომლის ხელშიაც არის მთელი პურის და სიმინდის მოსავალი, ეჭვი არა გვაქვს, შეგნებით შეხვდება ამ დეკრეტს და ხალისით მიეგებება ამ დეკრეტში გატარებულ ზომას. თუ არ ჩავთვლით გარეშე ომებს და სახელმწიფოს თავდაცვას, რომელშიაც მთელი ჩვენი ერი, განურჩევლად მდგომარეობისა ერთნაირის ხალისით და აღფრთოვანებით ეკიდება, ჩვენი რევოლუციის თითქმის მთელი ეკონომიური სიმძიმე აწევს პროლეტარიატს, ქალაქის და სოფლის მუშებს, ე. ი. იმ კლასს, რომელიც სარჩო საბადებელს ყიდულობს დღიურ ხელფასით, იმ ფულით, რომელსაც თავის სამუშაო ძალის გაყიდვით იღებს. ფულის ფასის დაცემა ყველაზე მწვავეთ ამ კლასს ხვდება. პირიქით ყველაზე მეტი რევოლიუციამ მისცა სწორედ სოფლის მცხოვრებთ გლეხობას: რევოლიუციამ მას გადასცა თითქმის მთელი ის მიწა, რომელიც ჩამოერთვა ფეოდალურ მიწათ-მფლობელებს.

დიდი მიხვედრა არ უნდა იმას, რომ თუ ჩვენი რესპუბლიკის თავდაცვა არ იქნება სათანადოთ მოწყობილი, თუ მტერი გვძლევს, რევოლიუციის გზით შექმნილი წესები განადგურდება, გლეხებს ისევ წაერთმევათ ამ ორი წლის განმავლობაში მათ ხელში გადასული მიწები, მაშასადამე მტრისგან თავდაცვის საქმის რიგზე დაყენებაში ყველაზე მეტათ გლეხობაა დაინტერესებული და პროლეტარიატს ნება აქვს მოსთხოვოს გლეხობას, რომ სახელმწიფოს თავდაცვის დროს მან გაიღოს მცირე ნაწილი იმისი, რაც მას საკმაოდ აქვს, და მისცეს სახელმწიფოს პური და სიმინდი არა უფასოდ, არამედ ფულზე.

მუშა მოსამსახურეთა მდგომარეობა

II

ჩვენ დავინახეთ, რომ საქართველოს დღევანდელ პირობებში მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება უნდა ხდებოდეს არა ბონების გამრავლებით, არა ფულის სახით ჯამაგირების გადიდებით, არამედ პირველ საჭიროების საგნების მიწოდებით. თუ ამ გზას ავშორდით, აუცილებელი კატასტროფა მოგველის. თუ ჩვენი ფულის კურსი სისტემატიურად ეცემოდა და ამ დაცემასთან ერთად თანდათანობით უარესდებოდა დაქირავებულთა მდგომარეობა, ამის ერთი უდიდესი მიზეზი ის არის, რომ ყოველ გაჭირვების დროს ჩვენ მივმართავდით იოლ საშვალებას—ბონების გამოცემას, იმის მაგიერ, რომ მოგვეწყო უფრო ძნელი, მარა უფრო საიმედო საქმე—თუ მთელი ხელფასის არა ნაწილის მაინც ნატურით მიცემა.

სხვა რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, დღეს ფასების ცვალებადობის მხრივ ბაზარზე ისეთი ვაკხანალია ხდება, რომ მომხმარებელი—მუშა უძლურია რაიმეს გახდეს. აქ არის სწორეთ საჭირო სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი ორგანოების გავლენა, მათი აპარატი, მათი მატერიალური შეძლება რომ უფრო უკეთეს პირობებში და იაფათ იქნას შეძენილი მუშა-მოსამსახურეთათვის მისაწოდებელი პირველი საჭიროების საგნები.

ეს საშუალება იმ ზომებთან ერთად, რომლებიც მიზნათ ისახავს შრომის ნაყოფიერების ზრდას, ერთად ერთი საშვალებაა, რომ თავი დავახწიოთ ახლანდელ მძიმე მდგომარეობას. აქეთკენ უნდა იქნას მიმართული ყველას გულისყური.

მხოლოდ ამ გზით გამტკიცდება რესპუბლიკა და შესაძლებელი გახდება მუშათა სავალალო ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება.

მარა ეს გზა ძნელი და გრძელი გზაა. გაჭირვებული მასსა კი ერთგვარ ნერვიულობას იჩენს, რაც ჩვენს დაუძინებელ მტრებს ფრთებს ასხამს და იმედს უღვიძებს, რომ დემოკრატიულ წყობილებას დაამცემენ.

ამ მხრივ ყველაზე მეტ ენერგიას ბოლშევიკები იჩენენ. მათ სურთ მასის გაჭირვებული მდგომარეობა თავისი პარტიულ კაპიტალის გასაძლიერებლათ გამოიყენონ და რესპუბლიკა დაანგრიონ. ისინი სიხარულით ცას ეწევიან, რომ მუშათა წრეებში საკითხი დაისვა შექმნილ მძიმე ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ. ეს მათ „რევოლიუციონურ მეხის პირველ გრგვინვათ“ ეჩვენებათ, ყოველ შემთხვევაში სურთ, რომ იგი ასეთად გადაიქცეს. და ბოლშევიკური პრესა, მათი პროპაგანდისტები, მათი შეთქმულები ერთხმათ ღაღადებენ მენშევიკური მეთოდის დამარცხებასა და რესპუბლიკის დემოკრატიული წყობილების გაკოტრებაზე. ჩვენს გაჭირვებას, რომელიც შექმნილია არა რესპუბლიკის პოლიტიკით, და შედეგია არა დემოკრატიული ბრძოლის მეთოდის, არამედ მსოფლიო ომის შედეგებით და გარეშე გამეფებული პირობებით,—ამ გაჭირვებას ბოლშევიკები თავის ბნელ ზრახვათა განსახორციელებლათ იყენებენ. მუშათა სიცივსა და სიმშილზე სურთ მათ ააგონ სისხლიანი რეჟიმი საბჭოთა სისტემისა. როგორც წარმომადგენელნი ჩვენი საზოგადოების დეკლასიური ელემენტებისა, ისინი ხსნას ხედავენ გასტრონომიულ მაღაზიებში გამოკიდებულ შემწვარ გოჭების განაწილებაში. „ნამდვილათ კი დღეს მუშათა ინტერესებისათვის საჭიროა კონტროლი არა იმდენათ წარმოებაზე, რამდენათ საგნების განაწილებაზე“,—სწერს ქართული „კომუნისტი“.

განა არ იციან დემაგოგებმა, რომ ჩვენი მუშების უბედურება ცუდათ განაწილებაში როდია, არამედ წარმოების დაცემაში, ანუ უკეთ რომ ვთქვათ იმაში, რომ საქართველო, როგორც ეკონომიურათ განუვითარებელი ქვეყანა, ვერ ქმნის იმდენ სიმდიდრეს, რამდენიც აუცილებელია ხალხის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. ვის რას უშველის განაწილება, როცა გასანაწილებელი ძლიერ ცოტაა. ეს კარგათ იციან ბოლშევიკებმა, მარა ამას უმალავენ მკითხველებს. ისინი ფათურობენ ჩვენი ჭრილობის გარშემო, რომ რესპუბლიკის ორგანიზმი კიდევ უფრო დაასუსტონ და ხალხს გაჭირვებული მდგომარეობიდან გამოსავალი გზების ძებნა გაუძნელონ.

თორემ ვინ არ იცის, რომ თუ ვინმე, ან რამე გაკოტრდა, ეს პირველ ყოვლისა კომუნისტები და მათი საბჭოთა სისტემა. ისინი ბევრს სწერენ ჩვენი მუშების გაჭირვებაზე, მარა კრინტსაც არ სძრავენ იმის შესახებ, თუ როგორია რუსის მუშის მდგომარეობა მათ მიერ ქმნილ საბჭოთა „სოციალისტურ რესპუბლიკაში“. არც შეუძლიათ მათ ამაზე რაიმე თქვან, ვინაიდან ყველამ იცის, რომ რუსეთის მუშათა კლასი პირდაპირ გადაშენდა, განადგურდა საბჭოთა რეჟიმის წყალობით. საბჭოთა წესწყობილებამ, რომელიც გაცილებით უკეთეს პირობებში წარმოიშვა, ვინემ საქართველოს რესპუბლიკა, ვერ მისცა მუშებს ვერც ზავი და ვერც პური. პირიქით რაც ქონდა, ისიც წაართვა. რუსეთში აღარ არსებობს სიტყვისა და კრების თავისუფლება, ფაქტიურათ გაუქმებულია თავისუფლება კავშირებისა და პრესისა, ამ მუშათა კლასიური ბრძოლის უდიდესი იარაღის. იქ გაფიცვისა და უბრალო პროტესტისათვის გაჭირვებით გაწამებულ მუშებს ხვრეტენ.

ამის შემდეგ მოდიან ქართველი კომუნისტები, ეს უცხოეთის აგენტები და მუშებს ჩვენში საბჭოთა რეჟიმის გამეფებას ურჩევენ!

ვინ გონიათ მათ ქართველი მუშები? სჩანს ისინი ძლიერ ცუდი წარმოდგენის არიან ჩვენი მშრომელი ხალხის პოლიტიკურ გონიერებისა და კლასიურ შეგნებაზე!

არა, ბატონებო, სიტყვების რახარუხით თქვენ მას ვერ მოატყუებთ.. ქართველმა პროლეტარიატმა და შეგნებულმა გლეხობამ საკმაოთ გრძელი გზა გავლეს პოლიტიკური ბრძოლისა, რომ ნეტარხსენებულ „რუსთა კავშირის“ სჩაიების დეკლასიური ელემენტების ფილოსოფიას არ აჰყვეს.

იცოდეთ, ჩვენი მდგომარეობა მძიმეა, მუშათა კლასი გაჭირვებულია, მარა ის არასოდეს არ დადაბლდება ბოლშევიკურ ექსპერიმენტების მიღებამდი.

მას აქვს საკუთარი გზა, მეცნიერული სოციალიზმის სხივებით განათებული და დღევანდელ გაჭირვებას მედგრათ გაუმკლავდება უკეთესი მომავალის დამკვიდრების იმედით!

პრესა

ბეცი ნაციონალიზმი.

ბოლშევიკები საქართველოს რესპუბლიკის დასასამარებლათ ემზადებიან და ამ მიზნისათვის არაფერს ერიდებიან. მათი იერიშები მიმართულია მმართველი პარტიის და მუშათა ორგანიზაციების წინააღმდეგ. ამათი სახელის გასატეხათ ითხზება ჭორები, ღვრება ნიანგის ცრემლები მუშების გაჭირვების შესახებ, ვრცელდება ინსინუაციები მუშათა კლასის აქტიურ ელემენტებზე და სხვ. მათი სახელის გატეხითა და დაცემით უნდათ სახელი გაუტეხონ და დასცენ რესპუბლიკა და დემოკრატია.

თავის თავად ცხადია, როგორი უნდა იყოს ამ ბრძოლაში პოზიცია იმ საზოგადოებრივი ჯგუფების, რომელნიც მმართველ პარტიას არ ეკუთვნიან, მარა საქართველოს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას იცავენ.

ისინი ვერ აყვებიან ბოლშევიკების დემაგოგიას.

ასე მოიქცევა ყველა კეთილგონიერი მოქალაქე, მარა ასე არ იქცევიან ჩვენი ნაციონალისტები „საქართველოდან“.

ისინი ჩაერიენ ჩვენსა და ბოლშევიკებს შორის ატეხილ დავაში და ცდილობენ ეს დავა მენშევიკების გასაწბილებლათ გამოიყენონ.

„სურათი შემზარავია! სახელმწიფოში დაგროვილი და მზრუნველი ხელით დამზადებული ქონება სადღაც გაქრა! უმდიდრესი საწყობები მილიარდის ღირებულების ქონებით უცებ განიავებულა.

„ვინ არ დაეპატრონა სახელმწიფო ქონებას? ვერ დაგისახელებთ ვერც ერთ ორგანიზაციას, რომელსაც სულ ცოტა რამ მაინც სცხია სოციალისტურ-პარტიული, „მუშური“, პროფესიული, რომ არ მიესაკუთრებინოს ეს თუ ის საწყობი და საზოგადო სიმდიდრე“.

რაზე ამყარებს „საქართველო“ ასეთ მსჯელობას?

ის ეყრდნობა „კომუნისტში“ ატეხილ კამპანიას, ბ. ბარონის წერილების გამო რომ გაიმართა.

„ქართველი ხალხი ამ ორი პარტიის (ბოლშევიკ მენშევიკების. მეპ.) „იდეოლოგიურ“ პოლემიკის გარეშე იდგა, მაგრამ ეგევე ხალხი დიდის ყურადღებით ისმენს ბოლშევიკ მენშევიკების ერთი ერთმანეთის დაბეზღებას მათ პრაქტიკულ მოღვაწეობის სფეროში“.

ჯერ ერთი, ვინ მოახსენა „საქართველოს“, რომ „ქართველი ხალხი ამ ორი პარტიის იდეოლოგიურ პოლემიკის გარეშე იდგა?“ მაშ, რომელი „იდეოლოგიის“ წყალობით დამარცხდა ჩვენში ბოლშევიზმი? ცოდს რათ სწამებს „საქართველო“ ქართველ ხალხს?

„საქართველოს“ ბოლშევიკებთან ერ-

დღეს

ფრანგული ცნობით პოლონეთს, უნგრეთს, ფინეთსა და რუმინეთს შორის დადო საიდუმლო სამხედრო თავდაცვითი ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

გერმანიის დამოუკიდებელნი და სხვა სოციალისტური პარტიები შეთანხმდნენ ახალი მთავრობის შედგენის საკითხში.

— —

„თფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ თავდაცვის საბჭოს დადგენილების თანახმად ყველა ექიმები, ქალაქ თფილისში მცხოვრებნი, 35—40 წლების ასაკისა გაწვეულნი არიან მობილიზაციით და უნდა უეჭველად გამოცხადდნენ ქალაქ თფილისის ელთიცხვის ნაწილის უფროსთან (ვაგზლის ქ. სახლი თამამშევისა № 24) ხუთშაბათს 9 დეკემბერს, დილის 10 საათზე.

თად სურს გააბახოს სოციალ დემოკრატია მისი პრაქტიკული მოღვაწეობის გამო მან კარგათ იცის, რომ ბოლშევიკები დემაგოგიას ეწევიან და რესპუბლიკის დანგრევას ლამობენ.

მაგრამ თავისი გამოლაშქრებით ის მაინც უადვილებს ბოლშევიკებს თავის ზრახვათა განხორციელებას!

ბეცი ნაციონალიზმი!

თავს იკატუნებენ!

ჩვენ ქართველ ბოლშევიკებს ბრალდება წავუყენეთ, რომ ისინი უცხოეთის აგენტები არიან, სხვისი ფულებით აქ ჩვენი ხალხის დამარცხებას ამზადებენ ჩვენს მ ჯელობას ვამყარებდით უტყუარ ფაქტებზე. ამაზე ბოლშევიკებს პირდაპირი პასუხი უნდა გაეცათ, ან აღიარებით ფაქტი ან საბუთებით უარეყოთ იგი. მაგრამ ჩიხში მიმწყვდეული ბოლშევიკები, რასაკვირველია, ამას ვერ შვრებიან და პირუკუ მაგიერ ღობე ყორეს ედებიან. რუსული „კომუნისტი“ წუწუნებს, თითქო მათ სიმართლის თქმისათვის სდევნიან.

„ნიკოლოზის დროის რუსეთში, როცა ცარიზმის კრიტიკული მომენტები დგებოდა, ებრაელების წინააღმდეგ კამპანიას იწყობდენ, რომელიც შემდეგ მათი „პოგრომით“ თავდებოდა.

„სოციალისტურ“ საქართველოში ებრაელების როლს კომუნისტები ასრულებენ.

მორიგი გამოლაშქრება ჩვენი პარტიის წინააღმდეგ დაიწყო, ამასთან დაიწყო ჩვენი პარტიის განადგურებაც“.

არა, ბატონო კომუნისტებო, ასეთი ლათაიებით ფონს ვერ გახვალთ! თქვენ გდევნიან არა იმიტომ, რომ სხვა იდეის წარმომადგენლები ხართ, არამედ იმიტომ, რომ რესპუბლიკას აჯანყებებს უწყობთ, შეთქმულებს რაზმავთ, უცხო ძალას ეძახით ქვეყნის ასაოხრებლათ და სხვისი ფულით თავისი ხალხის თავისუფლებას ებრძვით.

აი რა ბრალდებებს გიყენებთ ჩვენ!

გვიპასუხეთ ამაზე პირდაპირ, მიუკიბმოუკიბავათ. აქ ვერ გიშველით ვერც ნიკოლოზის დამოწმება და ვერც სხვა რამ „ფოკუსები“.

ბრალდება აშკარაა და ჩვენ მოვითხოვთ თქვენგან, ასეთსავე აშკარა პასუხს!

თქვეს!

ქართული „კომუნისტი“ ვერ მალავს, რომ საბჭოთა სისტემა მუშათა გაჭირვებისა და დაბეჩავების სისტემაა. მაგრამ მკითხველებს ამშვიდებენ, გაჭირვების ფიალა ბოლომდი უნდა ვსვათო.

„როდესაც ქართველ მუშებს აშინებენ საბჭოთა რუსეთის საშინელ სურათებით, ჩვენ ვამბობთ: საბჭოთა რუსეთი მოწინავე რაზმია მთელი მებრძოლი პროლეტარიატისა და სწორეთ ამიტომ მას წილად ხვდა არაჩვეულებრივათ დიდი ფიალა შესვა იმ ტანჯვა-გაჭირვებისა, რომელიც საბოლოოდ უნდა გადაიტანოს მთელი ქვეყნის პროლეტარიატმა, მაგრამ ამ კლასის ყოველ ცალკე რაზმს წინ უდევს თავთავისი ფიალა, რომელიც მან ადრე თუ გვიან უნდა შესვას მთელის საკეთილდღეოთ. მან შეგნებულად უნდა გადაიტანოს თავისი ხვედრი გაჭირვება“. და სხვ.

მაშ ასე, ბოლშევიკები ქართველ მუშებს ურჩევენ საბჭოთა სისტემის მიღებას იმიტომ, რომ ჩვენმა მუშებმაც თავისი ხვედრი გაჭირვება გადაიტანონ. ე. ი. მათ უნდა გაიზიარონ ხვედრი აზერბეიჯანის, ხვედრი რუსეთის მუშების, რომლის აწმყო საშინელებაა, ხოლო მომავალი წყვდიადით მოცულია.

გუშინ კი სწერდენ, რომ საბჭოთა სისტემა ქართველ მუშებს შვებას მისცემს და დღევანდელ გაჭირვებას დააძლევინებსო.

ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო!

მოქალაქენო! 12 დეკემბერი (29 ნოემბერი) საქართველოს დემოკრატიულ შეიარაღებულ ძალთა დღესასწაულია. 12 დეკემბერს თფილისის მოწინავე მუშებმა მახვილი დაჰკრეს ანარქიას და ქვეყანა იხსნეს სამოქალაქო ომისგან.

დამფუძნებელი კრება

7 დეკემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

ნ. იმნაიშვილის მოხსენებით მოხდა პირველი განხილვა კანონპროექტისა—სამთო-მადნო სამმართველოსთან სამთო-სატეხნიკო კურსების დაარსების შესახებ.

ს. ჯაფარიძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი საქართველოს სახელმწიფო ბანკისათვის დამხმარე ფონდის დასაარსებლათ 50 მილიონი მან. მიცემის დეკრეტის შეცვლის შესახებ.

ქრ. შარაშიძის ასულის მოხსენებით თანახმად პრეზიდიუმის დადგენილებისა კვირაობით დაინიშა სხდომები (12 ს.—3 საათამდე) კონსტიტუციის განსახილველად გარდა ოთხშაბათის სხდომისა. ამ რიგათ ამიერიდან კონსტიტუციის განხილვა მოხდება კვირაში ორჯერ: ოთხშაბათობით და კვირაობით.

რიგს გარეშე განცხადებისათვის სიტყვა ეძლევა მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეს გრ. ლორთქიფანიძეს.

მთავრობის განცხადება.

გრ. ლორთქიფანიძე: ბატონებო, იმ გართულებული მდგომარეობის გამო, რომელიც შეიქმნა ამ ჟამათ საქართველოს რესპუბლიკის ირგვლივ, მთავრობას საჭიროთ მიაჩნია წარმოდგეს თქვენს წინაშე და მოგახსენოთ, თუ რა მოხდა ან რა ხდება დღეს ჩვენს ირგვლივ

პირველ ყოვლისა მოგახსენებთ იმ მითქმა-მოთქმის შესახებ, რომელიც ასტყდა ჩვენში და უცხოეთშიაც ბათომის ირგვლივ. საქმე იქიდან დაიწყო, რომ ოქტომბრის ბოლო რიცხვებში საბჭოთა რუსეთის ელჩმა ბ. ნმა შეიმანმა ჯერ პირად საუბრის დროს და მერმეთ წერილობით ოქტომბრის 31-ს შეგვატყობინა შემდეგი:

შეიმანის ნოტა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო მინისტრს. 31 ოქტომბერი 1920 წ. № 2700. ხმები ინგლისელების მიერ ბათომის მოსალოდნელ დაკავების შესახებ ამ ბოლო დროს იმდენათ ფართოთ გავრცელდა, რომ დაეუფლა ადგილობრივ პრესას, რომელიც იცნობებოდა, რომ ინგლისელების მიერ განზრახული დაჭერა ბათომისა ორ გვარის სახით უნდა მოხდეს: ან იმ საიჯარო ხელშეკრულების განხორციელებით, რომელიც თითქოს დაუდევს ინგლისელებთან საქართველოს მთავრობას. ან და სამხედრო ოკუპაციის წესით, რათა ამ რიგათ უზრუნველყოფილი იქნეს საქართველოს მიერ აღებული ინგლისის ვალი. 28 ოქტომბერს მე მივიღე ჩემი მთავრობისაგან დეპეშა, რომლითაც მატყობინებდა, რომ ხმებმა ინგლისელთა მიერ ბათომის დაკავების შესახებ მისადმიც მიაღწიეს, მაგრამ უკვე ინგლისურის წყაროებით, დამეკითხებოდა, რამდ ნად საფუძვლიანია ეს ხმებიო. ამასთანავე, ჩემმა მთავრობამ მომანდო მოვახსენო თქვენს მთავრობას, რომ მუშათა და გლეხთა რუსეთი, რომელიც ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპს ახორციელებს და ცდილობს დაამყაროს მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, გაუკვირვებლად ვერ ჩაატარებს ამ ხმებს, რადგან მათი განხორციელება საქართველოს უქმდის ინგლისის ახალშენად გადაქცევას და საეჭვოდ გახდის მომავალში საქართველოს მთავრობის დამოუკიდებლობას. მუშათა და გლეხთა რუსეთს არ სურს დაიჯეროს, რომ საქართველოს მთავრობა, თანახმად ქართველი ხალხის ნების გამოცხადებისა, შესძლებს გაჰყიდოს ან იჯარით გასცეს თავისი ტერიტორიის ის ნაწილები, რომელთაც იგი უხსოვარ დროიდან თვის საკუთრებლად სთვლის და რომელნიც ასეთადვეა ცნობილი რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მიერ, მით უმეტეს, რომ ასეთი იჯარა სხვა არა იქნებოდა რა, თუ არ საქართველოს მთავრობის კაპიტულიაცია ანტანტის იმპერიალისტურ ძალთა წინაშე და აგრეთვე საქართველოს გაკოტრება თვისი სახელმწიფოებრივი სუვერენობის დაცვის საქმეში. ჩემს მთავრობას არ შეეძლო შესაფერი დასკვნა არ გამოეტანა ბათომის დაკავების ფაქტიდან იმ შემთხვევაშიაც, თუ იგი მოხდებოდა ინგლისის ჯარის მიერ სამხედრო ოკუპაციის წესით, რომელსაც, როგორც რესპუბლიკის მთლიანობისა და სუვერენობის მოქმრას, საფიქრებელია შეიარაღებული წინააღმდეგობა უნდა შეხვედროდა. ჩემი მთავრობის დავალებით კატეგორიულად უნდა განვაცხადო, რომ ინგლისელთა მიერ ბათომის დაკავება მიუხედავათ იმისა თუ რა გვარის ფორმით მოხდებოდა ეს მოვლენა, მიღებულ იქმნება, როგორც ტლანქი და უდავო დარღვევა რუსეთ-საქართველოს შორის ამა წლის 7 მაისის დადებულ ხელშეკრულობისა და მასვე შეეძლებოდა დაერღვია კეთილათ დამყარებული მეგობრული ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის, აგრეთვე დაწესებული ეკონომიური დამოკიდებულება. გაცნობებთ რა ზემოაღნიშნულს თქვენისა და თქვენი მთავრობის საყურადღებოთ, გთხოვთ შემატყობინოთ, რამდენად შეეფერება სინამდვილეს ხმები ინგლისელების მიერ ვითომ ბათომის დაკავებისა იმ ხელშეკრულობის ძალით, რომელიც თითქოს არსებობს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ინგლისს შორის და რა ღონისძიების ხმარებას აპირებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იმ შემთხვევაში, თუ ინგლისის საოკუპაციო ჯარმა ძალით განიზრახა ბათომის დაკავება. მიიღეთ და სხვა. რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიანი წარმომადგენელი საქართველოში შეიმანი.

ქ. საბახტარიშვილის პასუხი.

ამ ნოტაზედ ჩვენი პასუხი გახლდათ შემდეგი: რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენელს საქართველოში. 4 ნოემბერი 1920 წ. № 9599. „პასუხად თქვენი ნოტისა ა/წ. 31 ოქტომბრის თარიღით, № 2700, მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობამ მრავალ გზით განაცხადა და კვლავ ადასტურებს, რომ ყოველი განზრახვა საქართველოს სუვერენიტეტის შელახვისა ან მუქარა მისი ტერიტორიის წინააღმდეგ მიმართული, ვისი მხრიდანაც უნდა იყოს იგი, ქართველი ხალხისაგან მიიღებს უმტკიცეს წინააღმდეგობას და საქართველოს მთავრობა ღრმათ დარწმუნებულია, რომ 7 მაისის ხელშეკრულების თანახმათ ამ შემთხვევაში იგი იპოვის რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მთავრობის სრულ სოლიდარობასა და თანაგრძნობას და რომ ამ აზრით მის მიერ მიღებული იქნება მისგან დამოკიდებული ყოველი ღონისძიება. რაც შეეხება კერძოთ ამ ბოლო დროს გავრცელებულ ხმებს ვითომდა ინგლისელების მიერ ბათომის დაკავების შესახებ—საქართველოს და ინგლისს შორის თითქოს არსებულ საიჯარო ხელშეკრულების განსახორციელებლათ თუ სამხედრო ოკუპაციის წესით, რითაც უნდა უზრუნველყოფილ იქნას საქართველოს მიერ ინგლისის ვალის გადახდა, რომელიც ნამდვილათ არ არსებობს, ამიტომ მაქვს პატივი ამით დაგიმოწმოთ, რომ ამ ხმებს არავითარი საფუძველი არა აქვთ და სრულიათ არ შეეფერებიან სინამდვილეს. მიიღეთ და სხვ. „საგარეო საქმეთა მინისტრის მაგიერ ქ. საბახტარაშვილი“.

გვეგონა, თითქოს ჩვენი ასეთი განცხადების შემდეგ გაუგებრობა უნდა გაფანტულიყო, მაგრამ ეს ასე არ მოხდა, ნოემბრის 18 ს ჩვენ კვლავ მივიღეთ ბ ნ შეინმანის ნოტა, რომელშიაც ჩიჩერინის დავალებით შემდეგსა სწერს:

შეიმანის მეორე ნოტა.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ბ-ნ საგარეო საქმეთა მინისტრს 18 ნოემბერი 1920 წ. № 3297. მიუხედავათ თქვენის კატეგორიულის რწმუნებისა ამა წლის 4 ნოემბრის № 9599 ნოტაში, რომ ხმები ინგლისელებისაგან ბათომის მოსალოდნელ დაპყრობის შესახებ სრულიად არ შეეფერება სინამდვილეს და, რომ ყოველი განზრახვა საქართველოს სუვერენიტეტის და მისი ტერიტორიის დასარღვევად მიმართული შეხვდება შეიარაღებულ წინააღმდეგობას, უკანასკნელ დღეების შეთანხმების სახელმწიფოთა რადიო-დეპეშები შეიცავენ ისეთ ცნობებს, რომელნიც ჩემს მთავრობას არწმუნებენ იმაში, რომ უკვე ოფიციალურად მუშავდება გეგმა ინგლისის, ან შეთანხმების სხვა რომელიმე სახელმწიფოს სამხედრო ძალით ბათომის დაპყრობისა. ჩემი მოვალეობათ ვრაცხ ერთხელ კიდევ შევაჩერო თქვენი მთავრობის ყურადღება ამ კითხვის განსაკუთრებულსა და უაღრეს მნიშვნელობაზე და იმ სერიოზულ შედეგებზე, რომელნიც აუცილებელი იქნება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკისათვის იმ შემთხვევაში, თუ ბათომი შეთანხმების სახელმწიფოთა შეიარაღებულ ძალთა უფლებაში გადავა, რა ფორმითა და რა განზრახვითაც უნდა მოხდეს ეს. ჯერ კიდევ რუსეთსა და საქართველოს შორის 7 მაისის საზავო ხელშეკრულობის დადების დროს რ. ს. ფ. ს. რ. მთავრობამ ამ ხელშეკრულების ძირითად პირობას მიაჩნდა აუცილებლად და საჩქაროდ გაწმინდა ბათომისა და ბათომის ოლქის ინგლისის ჯარისაგან, რომელიც საფრთხეს წარმოადგენდა რ. ს. ფ. ს. რ. მოკავშირე აზერბეიჯანის რესპუბლიკისათვის და თვით რუსეთის რესპუბლიკისთვისაც. ახლა კი დარღვევა ამ პირობისა და შექმნა ახალის კიდევ უფრო სერიოზული საფრთხისა რ. ს. ფ. ს. და ა. ს. ს. რესპუბლიკებისთვის შეთანხმების სახელმწიფოთა შეიარაღებულ ძალების ხმარებით, ჩემს მთავრობას დააყენებს აუცილებლობის წინაშე მიიღოს ყოვლად სერიოზული და გადაჭრილი ღონისძიებანი ორივე საბჭოთა რესპუბლიკის ყოველგვარ საფრთხისაგან დასაცავად. ჩემი მთავრობის დავალებით კატეგორიულად ვაცხადებ, რომ შეთანხმების სახელმწიფოთა შეიარაღებულ ძალების მიერ ბათომის დაპყრობა ამა თუ იმ განზრახვით, ან ამა თუ იმ ფორმით, არ შეიძლება არ ჩაითვალოს, როგორც ჩაშლა სამშვიდობო პოლიტიკისა და შექმნა კავკასიაში რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის წინააღმდეგ ახალი ფრონტისა. ნებას ვაძლევ ჩემს თავს ჩემის მთავრობის სახელით და მისი დავალებით გამოვთქვა რწმენა და მტკიცე იმედი, რომ თქვენი მთავრობა, გაითვალისწინებს რა შეთანხმების სახელმწიფოთა შეიარაღებულ ძალთა მიერ ბათომის დაპყრობის შემდეგ მოსალოდნელ შედეგებს, არ შესდგება საბედისწერო გზაზე ბათომის დასაპყრობად შემუშავებულ გეგმების არა თუ წახალისებით, არამედ ამ გეგმებისადმი ნაკლები ყურადღების გამოჩენით და არ აიღებს თავის თავზე პასუხისმგებლობას იმ შედეგებისათვის, რომელიც აუცილებლად უნდა მოჰყვეს ამ გეგმების სისრულეში მოყვანას. მიიღეთ და სხვ. სრულუფლებიანი წარმომადგენელი რ. ს. ფ. ს. რ. საქართველოში შეიმანი.

საბახტარაშვილის პასუხი შეიმანის მეორე ნოტაზე.

ამ უკანასკნელ ნოტაზე გახლდათ ჩვენი შემდეგი პასუხი იმავე თვის 22 თარიღით“. ვადასტურებ რა თქვენი ნოტების მიღებას მიმდინარე ნოემბრის 10 ს თარიღით № № 3294 და 3297 შეთანხმების ერთ-ერთი სახელმწიფოს მიერ ვითომდა ქალ. ბათომის მოსალოდნელ დაპყრობის შესახებ, მაქვს პატივი განმეორებით დავადასტურო 4 ნოემბრის № 9599 ჩემს ნოტაში აღნიშნული მოსაზრებანი და განვაცხადო, რომ ჩვენ არ მოგვეპოვება არავითარი ცნობა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი ყოფილიყო საფუძვლიანათ ჩაგვეთვალა ხმები ბათომის ვითომდა მოსალოდნელ დაპყრობის შესახებ. ბათომი და ბათომის ოლქი წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის ბუნებრივსა და განუყოფელ ნაწილს და მასზე ვრცელდება განსაკუთრებული სუვერენული ხელისუფლება საქართველოსი, და ამიტომ ყოველი ღონისძიება მისი ხელუხლებლობის დასაცავად, უკეთუ მას რაიმე საფრთხე მოელის, უნდა გამომდინარეობდეს არა სხვა ვინმესაგან, არამედ საქართველოს მთავრობისაგან. საქართველოს ხალხი, რომელმაც დიდი მსხვერპლის გაღებით შესძლო თავისუფლების მოპოვება და დაცვა, შესძლებს აგრეთვე მტკიცე წინააღმდეგობა გაუწიოს ყოველ ცდას მისი სუვერენიტეტის დასარღვევად, ან მისი ტერიტორიის წინააღმდეგ მიმართულს, ვისგანაც და რა მოსაზრებითაც უნდა მოხდეს ასეთი ცდა. და თუ, როგორც ეს აღვნიშნე 4 ნოემბრის № 9599 ჩემს ნოტაში, ამ საკითხში საქართველო ვისგანმე თანაგრძნობას მოიპოვებს, ეს იქნება ჩათვლილი საქართველოს ხალხის მიმართ მეგობრულ გრძნობათა გამოსახვად. ხოლო ყოველი განზრახვა საქართველოს სუვერენიტეტის შელახვისა და მუქარა მისი ტერიტორიის დარღვევისა, უკეთუ ამას ადგილი ექნება, ვისი მხრითაც უნდა იქმნეს მიმართული, ცნობილ უნდა იქმნეს, როგორც აქტი აშკარად იმპერიალისტური ხასიათისა, ისე როგორც ყოველი გამოსვლა ბათომის დამცველად, რამდენადაც ეს გამოსვლა მოხდება საქართველოს მთავრობის ცნობისა და თანხმობის გარეშე. გთხოვთ ზემოაღნიშნული აუწყოთ რ. ს. ფ. ს. რ. მთავრობას. მიიღეთ და სხვ. საგარეო საქმეთა მინისტრის მაგიერ ქ. საბახტარიშვილი. 22 ნოემბერი 1920 წ. № 10.88.

აქვე უნდა მოგახსენოთ, ბატონებო, რომ ჩვენმა წარმომადგენელმა მოსკოვში მისდამი მიმართულ ბ ნ ჩიჩერინის ნოტას იმავე საკითხზე გასცა სათანადო პასუხი, რომელიც გამოქვეყნებული იყო გაზეთებში. ამავე დროს დიდი მითქმა მოთქმა შეიქნა როგორც ჩვენებურ, ისე უცხოელ პრესაში ბათომის ირგვლივ. რაღაც ძალებმა და მოსაზრებებმა მეტად გაამწვავეს პოლიტიკური ატმოსფერა. საქართველოს მთავრობის პოზიცია ამ საქმეში, როგორც ყოველთვის, მეტად სადა და მარტივი იყო. ისეთივე მარტივი როგორც თვით სიმართლე. საქართველოს, მეტად რომ არა ვსთქვათ, რაღაც უცნაურობას სწამებდენ, თას აბრალებდენ თითქოს საკუთარი სხეულის დაჭრა-დასახიჩრება სურდეს, თითქო თვითმკვლელობა ჰქონდეს განზრახული, მაგრამ ამ დროს ჩვენს გარეშე მდგომი ძალები საბჭოთა რუსეთი და დიდი ბრიტანეთი ბ ნი კერზონი და ბატონი ჩიჩერინი პირისპირ შეხვდენ ერთი მეორეს საჯაროდ აზრთა გაცვლა-გამოცვლაში. ამ გარემოებამ გაჰფანტა ხელოვნურად შექმნილი ბურუსი და საქართველოს სიმართლე და კაცური სიტყვა სააშკარაოზე გამოჩნდა. აი ბატონებო ის მიწერ მოწერა, რომელსაც ადგილი ჰქონია ბრიტანეთსა და რუსეთს შორის. ლორდ კერზონს 19 ნოემბრის თარიღით მიუწერია ბატონი ჩიჩერინისათვის შემდეგი:

კერზონის ნოტა ჩიჩერინს

საბჭოთა რუსეთის მთავრობამ კარგად უწყის, რომ ინგლისის ძალების მიერ ვითომ და ბათომის დაკავების შესახებ გავრცელებულ ხმებს არავითარი საფუძველი არა აქვს; ამ ხმების გავრცელება შეიძლება აიხსნას მხოლოდ საპროპაგანდო მიზნით“. ჩვენ ხელთაა ბატონებო აგრეთვე ლორდ კერზონის მეორე მიწერილი ბ-ნ ჩიჩერინის მიმართ 24 ნოემბრის თარიღით შემდეგი შინაარსის: „განმეორებით შეკითხვები და პროტესტები საბჭოთა მთავრობისა ინგლისის ან სხვა რომელიმე მოკავშირე მთავრობის მიერ ბათომის ვითომდა განზრახულ ოკუპაციის შესახებ, თუმცა ეს პროტესტები და შეკითხვები მოკლებულნი არიან რაიმე საფუძველს, გვაფიქრებინებს, რომ ეს ადგილი, რომელიც შეადგენს დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის ნაწილს, საფრთხეშია ჩავარდნილი, ამიტომ მისი უდიდებულესობის მთავრობა მოხარული იქნება, მიიღოს შესაფერისი დასტური საბჭოთა რუსეთის მხრივ შესახებ იმისა, რომ საფუძველი არ აქვს იმ ეჭვს, თითქოს თვით საბჭოთა რუსეთის მთავრობას განზრახვა ჰქონოდეს ბათომის ოკუპაციისა.“

ჩიჩერინის პასუხი

ამის საპასუხოთ ბ ნ ჩიჩერინს 28 ნოემბერს მიუწერია ნოტა, რომელიც უკვე გამოქვეყნებული იყო გაზეთში, და რომელშიაც როგორც გახსოვთ საბჭოთა რუსეთის მთავრობა კატეგორიულად აცხადებს, რომ ის სასტიკად იცავს საქართველოს დამოუკიდებლობას და არას შემთხვევაში და არას გზით არ ფიქრობს საქართველოს სუვერენობის შელახვას.

ბატონებო, ამ რიგათ ჩვენს გარეშე მდგომი ძალები ერთი მეორეს იდავებიან და ეფიცებიან, რომ არ ფიქრობენ ჩვენი სუვერენობის შელახვას, და აბა მაზედ ლაპარაკი, რომ თითქოს თვით საქართველოს უნდოდეს თავის უზენაესობის შელახვა, ხომ აბსურდული რამ იქნებოდა. ამ რიგათ, ბატონებო, ეს საკითხი დასრულებულად უნდა ჩაითვალოს; ბურუსი უკვე გაფანტულია და ამიტომ ეხლა აღარ შევუდგებით იმის კვლევა-ძიებას თუ ვის და რა განზრახვებით უნდოდა ამ საქმის ირგვლივ ცეცხლის დანთება. მხოლოდ ამ კითხვის სრულიად და საბოლოოდ ამოსაწურავად კიდევ ერთხელ და გადაჭრით აცხადებს მთავრობა, რომ ის მტკიცეთ სდგას ნეიტრალობის ნიადაგზე და ის არამც თუ სხვა სახელმწიფოთა შინაურ საქმეებში არ ერევა, არამედ საომარ საერთაშორისო კომბინაციებშიც მონაწილეობაზედაც უარს ამბობს, სანამ რასაკვირველია, მას არავინ დაესხმის თავს. ის არავითარ ძალისთვის არავითარ შემთხვევაში არ დასთმობს თავის ტერიტორიის ერთ ადლ მიწას სხვისთვის საომარ ბაზათ.

ის სისხლით დაიცავს რესპუბლიკის ყოველ ნაჭერსა და ნაწილს ყოველგვარ ძალმომრეობის წინააღმდეგ, რა მხრიდანაც არ უნდა მოდიოდეს იგი.

ის არავის ბრმა იარაღი არ შეიქნება (ტაში) უკვე ცნობილია ის თუ რამდენად უაღრესია ქართველი მშრომელი ხალხის სიყვარული ზავისა და მშვიდობიანობისადმი, იმდენად ღრმა, სასტიკი და აფთარია მისი ბრძოლა თავდაცვის საქმეში.

ძალით სხვისი არა უნდა რა ქართველ დემოკრატიას. თავისას ძალით არავის გაატანს.

განთავისუფლებულ ერს არ უნდა სხვისი ყმობა, მაგრამ არც ვისმეს ეყმობა თვითონ.

საქართველო და ანგორის მთავრობა.

მეორე კითხვა, რომელიც იპყრობდა და ეხლაც იპყრობს საზოგადოების ყურადღებას, ეს გახლავთ ჩვენი ურთიერთობა ანგორის მთავრობასთან, რომლის ჯარებმა დაიჭირეს სომხეთის დიდი ნაწილი. ქართველი ხალხის და მისი მთავრობის მისწრაფებანი აქაც ნათელი და აშკარაა. ჩვენ გვსურს ყოველ სახელმწიფოსთან, მით უმეტეს მეზობელთან, კეთილი და ძმური განწყობილება დავამყაროთ. ანგორის მთავრობის განცხადებანი ჯერ-ჯერობით ეთანხმებიან ამ ჩვენ სწრაფვას. ჩვენი მთავრობა უკვე შევიდა ოფიციალურ ურთიერთობაში ანგორასთან, რომლის სრულ უფლებიანი წარმომადგენელი პოლკოვნიკ კიაზიმ ბეი უკვე ჩამობრძანდა საქართველოს დედა ქალაქში. ანგორის მთავრობამ მოგვმართა ნოტით, რომელშიაც წინადადება გვეძლევა, რათა ჩვენი რწმუნებულები ერთი მეორეს შეხვდნენ და, თუ რამე სადაო ან გამოსარკვევია ჩვენს შორის, მშვიდობიანათ გადავჭრითო. ასეთ წინადადებას საქართველოს მთავრობა ყოველთვის დიდი სიამოვნებით ღებულობდა და ეხლაც, რასაკვირველია, შესაფერი პასუხი გასცა. ვფიქრობთ, რომ ეს შეხვედრა მალე მოხდება და ვინაიდან ანგორა, იმედია იცნობს საქართველოს სუვერენობას იმ ფარგლებში, რომელიც დღეს მას უჭირავს, ჩვენი შეთანხმება და კეთილ მეზობლობა ჩქარა და ადვილად დამყარდება.

სომხეთი და საქართველო.

ბატონებო, გარდა ამ საქმისა ამ უკანასკნელი დროის ღირსშესანიშნავი ამბავი გახლავთ სომხეთში ახალი ხელისუფლების დამყარება. ჩვენ უკვე ერთ კვირაზე მეტია არაფერი ცნობა გვაქვს ჩვენი სომხეთის ელჩიდან. ვფიქრობთ, რომ ეს ტეხნიკური დაბრკოლებების გამო ხდება. ჯერ-ჯერობით დანამდვილებითა და დაწვრილებით არ ვიცით როგორ მოხდა ეს ცვლილება. ვიცით მხოლოდ, რომ ჩრდილო სომხეთში აზერბეიჯანის საზღვართან ქარავანსარაის მახლობლათ გამოცხადდა სომხეთის რევოლუციონური კომიტეტი, რომელიც საბჭოთა რუსეთისა და აზერბეიჯანის ჯარებთან ერთად გაეშურა დილიჟანის საკენ და შემდეგ შიდა სომხეთისაკენ. ამის შემდეგ ერევანში დაიშალა ახლად შედგარი ბ-ნ ვრაციანის მთავრობა; ხელისუფლება გადაეცა სამხედრო მინისტრს გენ. დროს, რომელმაც თავის მხრით რევოლუციონურ კომიტეტს დაუთმო ძალა უფლება. ამ გვარად სომხეთის რესპუბლიკას ახალი ხელისუფლება მოექცა სათავეში, გამოცხადდა დამოუკიდებელი სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. ეს მოხდა იმ დროს, როდესაც ოსმალთა გამარჯვებულ ჯარებს სომხეთის დასავლეთი ეჭირა და სომხეთის მთავრობას მხოლოდ დროებითი ზავი ჰქონდა ჩამოგდებული და სამშვიდობო მოლაპარაკებას აწარმოებდა გუმარში. შეიძლება დაიბადოს კითხვა, როგორი იქნება ჩვენი დამოკიდებულება სომხეთის ახალ მთავრობასთან. ვინც კი იცნობს ახალი საქართველოს თითქმის სამი წლის ისტორიას, მისთვის ასეთი საკითხი არც უნდა არსებობდეს. იმდენათ აშკარა და ნათელია ასეთ შემთხვევაში ჩვენი პოზიცია: სხვის შინაურ საქმეში ჩაურევლობა, სრული ლოიალობა და კეთილ-განწყობილება ყველა მეზობელთან, ასეთი იყო და არის ჩვენი სიტყვა და საქმე. ყველა ის კეთილ-მეზობლური და მეგობრული აქტები და ხელშეკრულებანი, რომელიც არსებობდა ჩვენსა და სომხეთს შორის, რასაკვირველია, ჩვენის მხრით ძალაში რჩება და თუ ახალი მთავრობის მეცადინეობითა და შემოქმედებით ასეთ მეგობრული სამშვიდობო შეთანხმებათა რიცხვს კიდევ მოემატება საქართველოს დემოკრატია და მისი მთავრობა მხოლოდ გულწრფელ სიხარულს გამოსთქვამს ამის გამო და თავის მხრით ყოველ გზით შეუწყობს ხელს იმ სადაო კითხვათა მშვიდობიანათ გადაჭრას, რომელიც სომხეთის წარსულმა მთავრობამ ახალს უანდერძა. სომხეთის ამბების შესახებ, როგორც მოგახსენეთ, ოფიციალური ცნობა ჯერ არ გვაქვს, მაგრამ, ბატონებო, ასეთი გახლავთ დღევანდელი ვითარება.

დასკვნა.

მდგომარეობა, როგორც ხედავთ საპასუხისმგებლოა. ამიერ-კავკასიაში საქართველოს მახლობლათ, მის ირგვლივ სხვადასხვა დიდ ინტერესთა და წინააღმდეგობათა კვანძი ინასკვება. მდგომარეობა რთულია. ყოველის ღონით უნდა ვცადოთ და ვცდილობთ კიდეც, რომ ყველაფერი კარგადა და სამშვიდობოთ დასრულდეს. საქართველოს ხალხი და მისი მთავრობა ყოველ მხრით და ყოველ გზით აწარმოებს უაღრესად სამშვიდობო პოლიტიკას. მაგრამ ყოველგვარ შემთხვევისთვისაც მზად უნდა ვიყვეთ, მთავრობამ თქვენთან ერთად უკვე დაიჭირა თადარიგი. მან უკვე მოიხმო იარაღს ქვეშ ქვეყნის დამცველი. მთავრობამ თითქმის სრულიად გააუქმა სხვადასხვა შეღავათები ამ გამოწვევის დროს და უნდა მოგახსენოთ, რომ ასეთი ბრწყინვალეთ როგორც რაოდენობით ისე ზნეობრივათ, ჯერ არც ერთ მობილიზაციას არ ჩაუვლია (ტაში), თუმცა ჩვენი წინანდელი მობილიზაციები ჩინებულათ ტარდებოდენ. ბატონებო, სამწუხაროდ ჯერ კიდევ არ დამდგარა მსოფლიოში ისეთი დრო, როდესაც ამა თუ იმ ერსა და მის თავისუფლებას მარტო აღალი სიტყვა და მართალი, ნათელი აზრი საქმეს შველოდეს, ამასთან ერთად საჭიროა მაგარი მკლავი. ჩვენ მთელი ჩვენი არსებით გვინდა თავისუფლება და ზავი და ამიტომ მზად უნდა ვიყვეთ თავდაცვისათვის, მზადაც გახლავართ. (ტაში) ჩვენი სახელოვანი მხედრობა ჯარი და გვარდია უკვე თავიანთ საგუშაგოებზე დგანან. (ტაში) მათ მხოლოდ მაგარი ზურგი სჭირიათ. და ჩვენ გვწამს კიდევ მეტი, ჩვენ ვიცით, რომ ქართველ ხალხის მრავალ გზის ნაცადი ღრმა შეგნება და მტკიცე ერთობა საგარეო საშიშროების დროს ერთ სხეულ ორგანიზმათ აქცევს მთელს რესპუბლიკას. პირნათლად გამოიყვანს მას ყოველგვარ დაბრკოლებიდან და საშუალებას მისცემს ერთ მტკიცე ნაბიჯით იაროს წინ იმ გზით, რომელზედაც ის შედგა 26 მაისის დიდებულ დღეს. (ტაში).

რეზოლუციები.

შეტანილ იქნა ორი რეზოლუცია, ერთი სოც.-დემოკრატიული ფრაქციის მიერ, მეორე—სოც.-რევოლუციონერთა ფრაქციის მიერ. სოც.-დემ. ფრაქციის რეზოლუცია ასეთი იყო:

„დამფუძნებელმა კრებამ მოისმინა მთავრობის განცხადება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ და იზიარებს მის დებულებებს.

დამფუძნებელი კრება დარწმუნებულია, რომ მთავრობა განაგრძობს კეთილგანწყობილების დაცვას მეზობელ სახელმწიფოებთან და აღიარებს, რომ საქართველოს მთელი ხალხი თავის სახელოვან შეიარაღებულ ძალასთან ერთად ერთსულოვნად და თავდადებით დაიცავს თავისუფალ სამშობლოს პოლიტიკურ უზენაესობას და ტერიტორიულ ხელუხლებლობას და გადადის მორიგ საკითხზე“.

სოც.-რევოლუციონერთა ფრაქციის მიერ წარდგენილი რეზოლუცია შემდეგი შინაარსისა იყო:

„მოისმინა რა მთავრობის განცხადება რესპუბლიკის საგარეო მდგომარეობაზე, დამფუძნებელი კრება აცხადებს: საქართველოს მშრომელი ხალხი შეურყევლათ სდგას რესპუბლიკის დამოუკიდებლობის სადარაჯოზე და დაიცავს მას მთელი თავისი არსებით. მეზობლებთან სოლიდარობა-მეგობრობას და რესპუბლიკის ტერიტორიის ხელშეუხებლობას დამფუძნებელი კრება სთვლის დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის აუცილებელ პირობათ და გადადის მორიგ საკითხზე“.

თავმჯდომარემ პირველად კენჭი უყარა სოც.-დემ ფრაქციის რეზოლუციას, რომელსაც ხმა მისცა ყველა ფრაქციებმა გარდა ესერებისა. ჯერი მიდგა სოც. რევოლუციონერთა რეზოლუციაზე მეორე რეზოლუციისათვის კენჭის ყრამდე აკ. ჩხენკელი აცხადებს, რომ სოც. რევოლუციონერთა რეზოლუციაში არაფერია ნათქვამი მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯების მოწონების შესახებ, ხოლო ჩვენ კი არა თუ ვიწონებთ იმ დებულებებს, რომელიც წამოყენებულია მთავრობის განცხადებაში, არამედ გვსურს ეს დებულებები აქტიურად გატარებულ იქნას ცხოვრებაში, და, რადგანაც ეს მნიშვნელოვანი მხარე

არ არის აღნიშნული სოც. რევოლიუციონერთა რეზოლიუციაში, ამიტომ ჩვენი ფრაქცია მის წინააღმდეგ მისცემს ხმას.

ილ. ნუცუბიძე სოც. რევოლიუციონერთა სახელით აცხადებს, რომ ისინი შეურყევლად სდგანან დამოუკიდებლობის და მის დაცვის ნიადაგზე, მაგრამ თუ სოც. დემოკრატების რეზოლიუციას არ მისცეს ხმა, ეს იმიტომ, რომ სოც. რევოლიუციონერთა ფრაქცია არ იზიარებს მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს და არ უცხადებს მას ნდობას.

შ. ნუცუბიძე სოც.-ფედერალისტთა სახელით აცხადებს, რომ მთავრობის მოხსენებაში აღნიშნული იყო ორი მომენტი: ერთი—საქართველოსათვის ბათომის საკითხი უდაოა და მეორე, რომ მთავრობას იარაღის ქვეშ მოუწვევია დამოუკიდებლობის დამცველი ძალა. ჩვენი ფრაქცია ორივე ნაბიჯს ესალმება და ამ საკითხზე გაჩუმება მიაჩნია მოქალაქეობრივი მოვალეობის შეუსრულებლობათ. და რადგანაც ეს არ არის აღნიშნული ესერების რეზოლიუციაში, ჩვენი ფრაქცია მის წინააღმდეგ მისცემს ხმას.

კენჭს ყრით სოც. რევოლიუციონერთა რეზოლიუცია უარყოფილ იქნა. მის წინააღმდეგ მისცეს ხმა ყველა ფრაქციებმა, გარდა ესერებისა.

დასასრულ მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **გრ. ლორთქიფანიძე** აცხადებს, რომ გზათა სამინისტრო გამოეყო მიწათ მოქმედების სამინისტროს და გზათა მინისტრობა დაევალა შინაგან საქ. მინისტრს ნ რამიშვილს.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

8 დეკემბერი.

რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბოლშევიკური)

შრომის ფრონტზე.

1917 წელში ჩვენ დავამზადეთ 13 მილიონი ფუთი სათბობი მასალა, წარსულ წელს 9½ მილიონი ფუთი, წელს კი განზრახულია 15 მილიონი ფუთი სათბობ მასალის დამზადება. სათბობის დამზადებაში ხელი შეგვიწყო წითელმა ჯარმა, რომელმაც დაგვიბრუნა დონის რაიონი და ბაქო.

ადგილობრივ პარტიულ საბჭოთა ორგანოებს დასჭირდებათ დიდი მუშაობის გაწევა, რათა სამარხილო გზის მოწყობამდე უზრუნველყონ შეშით რკინის გზები, გამოირკვა, რომ რკინის გზების სახელოსნოებში მუშაობა არა სასურველათ მიმდინარეობს იაროსლავში, ვოლოგდაში და ვიატკაში ომის წინა დროსთან შედარებით მუშათა რიცხვი სახელოსნოებში ორად გაიზარდა, მაგრამ ნაყოფიერება არ გაზრდილა. ტულის სახელოსნოები ომამდე ათ ორთქმავალს აკეთებდა, ახლა როდესაც მას ჰყავს ორჯერ მეტი მუშები უშვებს ხუთ ორთქმავალს. ცხადია, რომ შრომის ნაყოფიერება უნდა გაიზარდოს. ეს მიზანი უნდა დაისახოს პროფ. კავშირებმა და საბჭოთა ორგანოებმა.

ლიტვის ცნობები

პლებისციტი ვილნაში.

ერთა ლიგის მიერ გაგზავნილი საკონტროლო კომისია ლიტვის სამი დელეგატის თანხლებით ვარშავაში ჩავიდა. კომისიის მიზანია პლებისციტის ზონის საზღვრების გამორკვევა. ვილნაში და ფრონტის მთელ რაიონში სიწყნარეა.

პლებისციტი საბერძნეთში.

პლებისციტის საბოლოო შედეგები ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული. ანტანტის მიერ გაგზავნილმა ნოტებმა, როგორც სჩანს საბერძნეთის მთავრობაზე გავლენა მოახდინა. როგორც იუწყებიან დეპუტატთა პალატის გახსნა კამათის თავიდან ასაცილებლათ ერთი თვით გადაიდო.

მოკავშირეთა ნოტა გერმანიას.

ორშაბათს დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის და ბელგიის წარმომადგენლებმა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს წარუდგინეს კოლექტიური ნოტა, რომელშიაც ისინი პროტესტს აცხადებენ იმ სიტყვების გამო, რომლებიც წარმოთქვეს რეინის პროვინციებში გერმანიის მთავრობის ზოგიერთმა წევრებმა

დანციგი. თავისუფალ ქალაქის დანციგის დამფუძნებელმა კრებამ ორშაბათს აირჩია მთავრობა და დამფუძნებელი კრება საკანონმდებლო ორგანოთ გარდაქმნა.

რკინის გზელთა შორის.

ბერლინი. „ფრაიჰეიტი" სწერს: რკ. გზელთა გაფიცვა აუცილებელია. მუშაობა შეჩერდება თუ მოლაპარაკება მთავრობასთან სასურველად არ დათავდა.

მთავრობის საკითხი.

„ფრაიჰეიტი" ამბობს, რომ დამოუკიდებელთა და სხვა სოციალისტური პარტიები შეთანხმდენ ახალი მთავრობის შედგენის საკითხში.

საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

8 დეკემბერი.

ისევ ტერორი.

მ ქო. „კომუნისტი" სწერს: საბჭოთა რუსეთს სამეურნეო ფრონტზე ანტანტის სახით მალული მტერი ჰყავს. ამ მტრის მიზანს რუსეთში შეადგენს მოსყიდულ პირთა საშვალებით არევ-დარევის შექმნას სამეურნეო ფრონტზე. ოქრო—აი იარაღი, რომლითაც სურს ანტანტას მოკლას რუსეთი. ეს იარაღი მეტად საშიშია. არიან კომუნისტურ პარტიაში ისეთი პირები, რომლებიც შეუძლია შეაცდინოს ოქრომ. საჭიროა ზომების მიღება. ერთ-ერთი მთავარი საშვალებათაგანი უნდა იქნეს შემოღება წითელი ტერორისა, რომლის წინ უნდა გაფერმკრთალდეს ტერორი წინა სამი წლისა.

ბოლშევიზმის წინააღმდეგ.

პარიზი. პრესა იუწყება: ლიონში კანონიერების დამცველთა კავშირი დაარსდა. გაზეთი „პოპულიარი" იუწყება: კავშირის მიზანს შეადგენს ბოლშევიკურ ხასიათის ყოველ გვარ რევოლიუციონურ გამოსვლების წინააღმდეგ ბრძოლა. მათ მთავარ მიზანს შეადგენს რკინის გზათა, ხიდების, ბანკების და საწარმოო დაწესებულებების დაცვა. კავშირში ყოველმა შემავალმა უნდა მოაწეროს ხელი საგანგებო ხელშეკრულებას. ასეთივე კავშირი დაარსდა დეპარტამენტის სხვა ქალაქებში, ამასთანავე კავშირები ერთდებიან კანონიერების დამცველთა საგუბერნიო ლიგაში. მოხალისეთა ძირითად კადრების გარდა კავშირში სარეზერვო კადრებიც შედიან.

ვენა თანახმად ავსტრიის მთავრობის განკარგულებისა მოეწყო საიდუმლო თვალყურის დევნება იმ უცხოელებზე, რომლებიც საზღვარ გარეთიდან შემოდიან. უკანასკნელ დღეებში დააპატიმრეს მთელი რიგი პიროვნებათა, რომლებსაც ბრალდებათ რუსეთის სასარგებლოთ მალულ აგენტურის მოწყობა.

პარიზი. ჟურნალ „დე დება" იუწყება: თანახმად მოსულ ცნობებისა პოლონეთსა, უნგრეთსა, ფინეთსა და რუმინეთის შორის დაიდო საიდუმლო სამხედრო ხელშეკრულება ბოლშევიკების წინააღმდეგო. ხელშეკრულებას აქვს არა შეტევითი, არამედ თავდაცვითი ხასიათი.

ლიტვინოვი.

ჟურნალ „დე დება" გადმოგვცემს რომიდან მოსულ შემდეგ ხასიათის ცნობას საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელი ლიტვინოვი. დატუსაღებულია ის ინგლისის სამხედრო გემით გაიგზავნა ბათომით რუსეთში.

საბჭოთა რუსეთის ვითარება.

ლონდონი. „ტაიმსი" სწერს: უკანასკნელ დღეებში ბოლშევიკებმა დაიწყეს ჩივილი, რომ მათ აღარ ყოფნით ჯარი შინაურ წესიერების და გლეხების დასაწყნარებლად. გლეხთა უკმაყოფილება თანდათან იზრდება. უკმაყოფილების მიზეზათ პურის და საქონლის ჩამორთმევა არის ტროცკი აღნიშნავს, რომ უკრაინაში მდგომარეობა მეტად გართულდა, ვინაიდან ტყვიის მფრქვეველებით შეიარაღებული გლეხები ეცემიან მატარებლებს სძარცვავენ და ხოცავენ იმ პირთ, რომლებიც ბოლშევიკებს თანაუგრძნობენო.

ერთა ლიგა და ამერიკა

ნიუიორკი შეერთებულ შტატების ახალმა პრეზიდენტმა გარტინგმა განაცხადა, რომ ამერიკა ერთა ლიგაში არ შევა. გარტინგის აზრით საჭიროა ახალი საერთაშორისო ლიგის მოწყობა. ამ ლიგაში ამერიკამ უმთავრესი როლი უნდა ითამაშოს. თავის სიტყვაში გარტინგმა სთქვა: მე დარწმუნებული ვარ, რომ რესპუბლიკანურ პარტიას არ სურს რათა ამერიკამ კაპიტულიაცია გამოაცხადოს და შევიდეს არსებულ ერთა ლიგის შემადგენლობაში, სადაც იგი მეორე ხარისხოვან როლს ითამაშებს.

საქართველოში არსებულ რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლობის პრესის ბიუროს ბიულეტენიდან

ოსმალეთი და საქართველო.

ტრაპიზონი 30 ნოემბ. გაზეთი „ისიკბალი" სწერს: ჩვენი ჯარების სწრაფმა შეტევამ საქართველოს მთავრობა მძიმე პირობებში ჩააყენა და ამიტომ საქართველოს ხალხის მომავალი წარმატებანი დამოკიდებულია საქართველოს მოწინავე პირების შორსმჭვრეტელობაზე. მთავრობა ეგზამენის პერიოდს განიცდის. საქართველოს მთავრობის მიერ არჩეულმა გზამ ასეთ წუთში შეიძლება მეტად კარგათ იმოქმედოს საქმის მსვლელობასა და საერთო მდგომარეობაზე.

საქართველო კინაღამ არ გადაიქცა ორ მოწინააღმდეგე მიმდინარეობის შეტაკების ასპარეზათ. ერთი მხრით სომხეთის პოლიტიკის მომხრენი აქეზებდენ მას დაეწყო ბრძოლა სომხეთის დასაცავათ. ისინი ცდილობდენ ოსმალეთის მოქმედებები დაეხასიათებინათ, როგორც კავკასიის დაპყრობისაკენ მიმართული მოძრაობა. და მათ ამ რიგათ შექმნდათ არევ-დარევა ქართველ ხალხში. ამტკიცებდენ იმასაც კი, რომ სომხეთის მერე დადგება საქართველოს ჯერი, ერთი სიტყვით, გააკეთეს ყველაფერი საქმის ჭეშმარიტი ვითარების დასამახინჯებლათ.

საქართველოს მთავრობამ ერთხანად ვერ დააღწია თავი ამ პროპაგანდას და კინაღამ არ დაუჯერა ტყუილ ცნობებს ოსმალეთის მიზნების შესახებ, რის გამოც ის რამოდენიმე ხანს გაურკვეველ პოლიტიკას აწარმოებდა. ბოლოს, მაინც გამონახა სწორი გზა. კეთილ-მეზობლური ურთიერთობა საქართველოსთან როგორც აწმყოს, ისე მომავლის თვალსაზრისითაც გამოსადეგია ორივე ერისათვის.

დაუღალავი მუშაობისაკენ!

ალექსანდროპოლი. სომხეთის კომუნისტურ პარტიის ალექსანდროპოლის საოლქო კომიტეტის ორგანო „კომუნისტი" თავის პირველი ნომრის მოწინავე წერილში (21 ნოემბერს) სწერს:

„სომხეთი საბჭოთა სახელმწიფოდ გადაიქცა. სომხეთის კომპარტიის მიერ არჩეული სამხედრო-რევოლიუციონური კომიტეტი იღებს ალექსანდროპოლში თავის ხელთ ძალა-უფლებას და იწყებს მუშაობას.

ეს გადატრიალება სრულიად სცვლის სომხეთის როგორც შინაურ, ისე საგარეო პოლიტიკას.

დაშნაკცაკანების მთავრობა აქამდის იცავდა ევროპის ბურჟუაზიის ინტერესებს და იკმაყოფილებდა თავის დაპყრობის აპეტიტებს. მაგრამ ეხლა, როდესაც სომხეთის გაღვიძებული მუშები და გლეხები იღებენ თავის ბედს საკუთარ ხელში, როდესაც ევროპიული და სომხური იმპერიალიზმი იდევნება ჩვენი ქვეყნის ფარგლებიდან, ჩვენი მუშა-გლეხური მთავრობა მიზნათ ისახავს მჭიდრო ამხანაგურ კავშირის დამყარებას საბჭოთა რუსეთის, ოსმალეთის, აზერბეიჯანის და სომხეთის რევოლიუციონურ მასებს შორის.

დაშნაკცაკანთა მთავრობას არ შეეძლო აღმშენებლობითი მუშაობის წარმოება და ამიტომ იგი სულ ანგრევდა ყველაფერს და ეხლაც ანგრევს.

ქვეყნის გარდაქმნა და გაძვალტყავებულ მასების მდგომარეობის გაუმჯობესობა წილად ხვდა მუშა-გლეხთა მთავრობას.

მთელ სომხეთში მხოლოდ ერთი ძახილი უნდა გაისმას: სამუშაოზე, ბოროტ მოქმედი იქნება ის, ვინც ამ მძიმე მომენტში გულხელდაკრეფილი სახლში დარჩება. მუშები და გლეხები გაამაგრებენ თავის ძალა-უფლებას მხოლოდ დაუღალავი მუდმივი შრომის საშუალებით.

მდგომარეობა ორჯერ უფრო სერიოზულია და საჭიროა ორჯერ უფრო მეტი ძალღონის დახარჯვა".

მუსტაფა ქემალის ახალი გეგმა.

სტამბოლი. 25 ნოემბერი. გაზეთი „დეკაგტმატი" სწერს, რომ ანგორაში მზადდება სამხედრო მოქმედებათა ახალი გეგმა.

მუსტაფა-ქემალმა, სომხეთის წინააღმდეგ ოპერაციების დასრულების შემდეგ ბრძანება მისცა კიაზიმ კარა ბექირს დასტოვოს მან 15,000 კაცი სომხეთის ფრონტზე, დანარჩენი ძალები კი გადაიყვანოს სმირნის ფრონტზე.

მახეში გაებნენ.

კავკავი. 7 დეკემბერი. კავკავის ოლქში აღმოჩენილია კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაცია. აღმოჩენილია და ჩამორთმეულია ტყვიის მფრქვეველი, ასაფეთქებელ ნივთიერებით სავსე კასრი და პიროქსილინი. დატუსაღებულია 30-მდე კონტრ-რევოლიუციონერი, მათ აღმოაჩნდათ დოკუმენტები, რომლებიც ჩირქსა სცხებს ერთ უცხო სახელმწიფოს.

ანგორა და რუსეთი

ანგორა. 8 დეკემბერს (რადიო მოსკოვიდან) ანგორის მთავრობა ოფიციალურათ უარჰყოფს ბრიტანელების აგენტების მიერ სტამბოლში გავრცელებულ ხმებს, თითქოს მილისტების მთავრობა აპირებდეს საბჭოთა რუსეთთან ომის დაწყებას. ამ ხმების გავრცელების მიზანია შუღლის დათესვა რუსებსა და ოსმალებს შორის.

საქართველოს შეიარაღებული ძალების მესამე წლის თავი ფრონტზე თენდება. გაუმარჯოს ფრონტს!

ახალი ამბები

პროფესიონალურ კავშირთა საყურადღებოდ. საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი აცხადებს რესპუბლიკის ყველა პროფ. კავშირთა საყურადღებოთ, რომ მის მიერ განზრახული პროფესიონალურ და კოოპერატიულ მოძრაობის შესასწავლ კურსებზე მეცადინეობა დაიწყება მომავალ წლის პირველ იანვრიდან. ყველა წარმოდგენილი კანდიდატები მიღებულნი არიან და ა. წ. 31 დეკემბრისთვის უნდა გამოცხადდენ აღმასრულებელ კომიტეტის ბინაზე. (რუსთაველის პრ. № 17. მუშათა სასახლ. ოთახი № 53).

კურსანტებს მიეცემათ ბინა აღმასრულებელი კომიტეტი.

◆ **მთავრობის დადგენილება,** მომარაგების მინისტრის ამხანაგი ივანე ქავქანიძე დაინიშნა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგად.

◆ **ბოროტმოქმედება.** ერთი თვის წინათ საქართვ. რკინ. გზ. სასურსათო კომიტეტმა აღმოაჩინა, რომ პასუხისმგებელი არტელი, რომელსაც აბარია სასურსათო კომიტეტის საწყობები, ეწეოდა ფქვილის ქურდობას. სასურსათო კომიტეტმა ამის გამო მიიღო სათანადო ზომები და ბოროტმოქმედების მთავარი მონაწილენი საწყობის გამგის ა. მდივანის მეთაურობით უკვე დაპატიმრებული არიან. დანარჩენ დამნაშავეთა დასაპატიმრებლათ მიღებულია ზომები. მოპარულია სულ 88 ტომარა ფქვილი.

◆ **სახელმწიფო უნივერსიტეტში.** დღეს, 9 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე, სოც.-დემ. სტუდენტთა საერთო კრებაზე ამხ. მიხ. კვატაშიძე წაიკითხავს მოხსენებას—„დიქტატურა და დემოკრატია" ზე, კონტრ-მომხსენებლად გამოვა ამხ. შურა დუდუჩავა. კრებას დაესწრება ამხ. სით დიდვარიანი.

შეცდომის გასწორება: ნ. ჟორდანიას სიტყვაში შემდეგი მნიშვნელოვანი შეცდომები შეგვეპარა: სწერია: „ეს არის ერთნაირი პარტიკულიარიზმი, რომლიდანაც გამომდინარეობს დემოკრატიზმი", უნდა იყოს: „**რომელიც გამომდინარეობს დემოკრატიზმიდან**". სწერია: „ხალხი ირჩევს აღმასრულებლებსაც, ადმინისტრატორებს, მოსამსახურეებს და სხ., უნდა იყოს: „**ადმინისტრატორებს, მოსამართლეებს** და სხ. სწერია: „აქ (კონსტიტუციის პროექტში) არის ძირითადი საკითხები დემოკრატიზმისა გატარებული, მაგრამ შემდეგი ამ ძირითადი პრინციპებისა ვერ არის გატარებული და სხ. უნდა იყოს: „**შედეგი** და სხ.".

კრებები.

დღეს 9 დეკ. სღ. 5 ს. შედგება მესამე რაიონის კოლექტივის ჩვეულებრივი სხდომა. რაიონში არსებულ მცირე კოლექტივებისა და იაჩეიკის წარმომადგენლებს ევალებათ დაესწრონ სხდომას.

— პარასკევს, 10 დეკემბერს საღამოს 6 ს. დანიშნულია მეოთხე რაიონის ს. ს. დ. ქალთა კოლექტივის სხდომა.

— მეორე რაიონული კოლექტივის მორიგი სხდომა შესდგება დღეს საღამოს 6 საათზე.

— დღეს, საღ. 6 ს, დანიშნულია მეოთხე რაიონული კოლექტ. და ვერის გამრთობ საზოგადოების გამგეობის გაერთიანებული სხდომა.

— დღეს 9 დეკემბერს საღამოს 6 საათზე დანიშნულია მე 6 რაიონულ კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა.

— დღეს, 9 დეკემბერს საღამოს 6 საათზე დანიშნულია ს. ს. დ. მ. 3. პირველ რაიონის კოლექტივის წევრთა სხდომა—ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

გვარდიის დღისთვის

პროფესიონალურ კავშირებს და საბჭოს.

12 დეკემბერს სრულდება სამი წელი სახალხო გვარდიის დაარსებიდან. გვარდიის მთავარი შტაბი ამ დღეს მთელ რესპუბლიკაში აწყობს „გვარდიის დღეს". საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა აღმასრულებელი კომიტეტი მოუწოდებს ყველა მუშათა ორგანიზაციებს და მათ ცენტრებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ განზრახულ დღესასწაულში.

დღესასწაულის წესრიგს იმუშავებს გვარდიის მთავარი შტაბი, რომელსაც ემორჩილება ყველა ორგანიზაციები.

აღმასრულებელი კომიტეტი.

მოქალაქენო! სამი წლისთავი სრულდება 12 დეკემბერს, რაც ჩვენი გვარდია და ჯარი ბრძოლაშია.

დღეს კიდევ სისხლიანი ღრუბლები დასტრიალებენ ჩვენს ქვეყანას.

ბრძანება

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბისა შრომის ბეგარის შემოღების შესახებ.

რესპუბლიკის თავდაცვის საბჭომ 1920 წლის დეკემბრის 6 ის სხდომაზე მოიწონა და მიიღო სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის მიერ შემუშავებული გეგმა—საზოგადოების არა მშრომელ ნაწილისათვის შრომის ბეგარის შემოღების შესახებ.

პრაქტიკული განხორციელება ამ გეგმისა თავდაცვის საბჭომ დაავალა სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს.

თანახმად ამ დავალებისა, მთავარი შტაბი აცხადებს:

1) შემოღებულია სავალდებულო შრომის ბეგარა საზოგადოების იმ ნაწილისთვის, რომელიც არ ეწევა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას და ასრულებს რაიმე განსაზღვრულ სამსახურს.

2) შრომის ბეგარის მოსახდელად გაწვეული იქნებიან ზემო-აღნიშნულ კატეგორიის მოქალაქენი 20-დან 45 წლიანებამდე.

3) მობილიზაციის პირველ დღეთ ცხადდება დეკემბრის 10, ხოლო უკანასკნელ დღეთ დეკემბრის 13.

4) ის პირნი, რომელთაც ეხება მობილიზაცია, ვალდებულნი არიან გამოცხადდენ სარეგისტრაციოთ სამხედრო სკოლის ყაზარმაში. (პლეხანოვის პროსპექტი).

5) მობილიზაციით გაწვეულნი ექვემდებარებიან სამხედრო დისციპლინის წესებს.

6) ის პირნი, რომელნიც გაექცევიან მობილიზაციას და თავის დროზე არ გამოცხადდებიან სარეგისტრაციოთ, ჩაითვლებიან დეზერტირებათ და დაისაჯებიან კანონის მთელი სიმკაცრით.

7) მობილიზაციით გაწვეულთ მიეცემათ მხოლოდ საჭმელ-სასმელი.

8) შრომის ბეგარის მოსაწყობად და ხელმძღვანელობის გასაწევად არჩეულია სპეციალური კომისია მთავარ შტაბის წევრის ზ. გურულის თავმჯდომარეობით.

9) ყველა დამატებითი ინსტრუქციები შესახებ მობილიზაციისა გამოცემულ იქნებიან აღნიშნული კომისიის მიერ.

10) ამავე კომისიას ევალება მოაწყოს შრომის მობილიზაცია მთელს რესპუბლიკაში.

11) მობილიზაციით გაწვეულნი გაიგზავნებიან შეშის დასამზადებლად და სხვა საზოგადო მუშაობის ასასრულებლად და როდესაც ისინი შეასრულებენ მათზე დაკისრებულ განსაზღვრულ სამუშაოს, განთავისუფლებული იქნებიან სათანადო მოწმობის მიცემით. (ადს).

„წითელ" სომხეთში

მომავალი სოციალისტური ტაქტიკა სომხეთში.

„აშხატავორი" (№ 271) ეხება მომავალ სოციალისტურ ტაქტიკას სომხეთში და სწერს:

„რუსეთში კომუნისტური ტერორი, როგორც ბევრჯერ გამოუთქვამთ კომუნიზმის ბელადებს, გამომდინარეობდა იმისგან, რომ ბოლშევიკები იძულებული იყვნენო ძალით ჩაეგდოთ ხელში ძალა-უფლება ისეთი მთავრობისაგან, რომელიც ძალითვე წინააღმდეგობას უწევდა მათ და ყოველნაირათ აღრჩობდა სოციალისტურ რევოლიუციას. გარდა ამისა, გარეშე ძალები—ანტანტა ხელს უშლიდა სოციალიზმის განხორციელებას და ამიტომ ბოლშევიკები იძულებული იყვნენ შეუპოვრათ ებრძოლათ რესტავრაციის წინააღმდეგ.

„როცა აზერბეიჯანი ჩაიგდეს ხელში ბოლშევიკებმა, მიმართეს აგრეთვე სასტიკ ზომებს მუსავატელების წინააღმდეგ, რადგან უკანასკნელნი ხელს უშლიდნენ სოციალიზმის გავრცელებას თურქულ მასსებში.

„სულ სხვა არის სომხეთი. სომხეთის მშრომელი ხალხი და პარტია დაშნაკცუთიუნი არ არის წინააღმდეგი სოციალიზმის შემოღებისა სომხეთში, განსაკუთრებით იმის შესახებ, როცა მან საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკების დროს, დასდო პირობა, რომ ყარაბაღი და ზანგეზური, თანახმად ხალხის სურვილისა შეერთებოდა სომხეთს და არ დარჩენოდა მუსტაფა ქემალს, რომელიც ძალიან შორს არის რევოლიუციის ინტერესების სასარგებლოთ მუშაობისაგან.

„რაც შეეხება შინაგან აღმშენებლობის საკითხს, უნდა ითქვას, რომ სომხეთი მშრომელი ხალხი თავისი სოციალისტური (პარტიების სახით თანახმაა განახორციელოს ყველა ის საშუალებები, რომლითაც ახალ საფუძვლეზე უნდა აღდგენილ იქნას სომხეთის მშრომელთა კეთილდღეობა.

„ამ გვარათ, უმთავრესი საკითხები მოწესრიგებულათ უნდა ჩაითვალოს. ზანგეზური—შარურ-ნახიჩევანი შეუერთდა სომხეთს და ოსმალეთის სომხეთის შესახებ სომეხ მშრომელთა მოთხოვნილებებისთვის სერიოზული ყურადღება მიუქცევია, რომ პირველ რიგში დაკმაყოფილებულიყოს ის.

„მილიტების მოძრაობის შესახებ მოსკოვი ძალიან დაახლოვებია ჩვენს თვალსაზრისს...

„ანტანტის ორიენტაციის შესახებ უნდა ვთქვათ, რომ სომხის მშრომელ ხალხს ყოველთვის პროტესტი გამოუცხადებია მისი პოლიტიკის წინააღმდეგ. ანტანტას უარუყვია ყველა თავისი დაპირებები, ხელი შეუწყვია სომხების ჟლეტისათვის კილიკიაში და იძულებული გაუხდია, ქედი მოეხარა ყარაბაღის რევოლიუციონერებს მუსავატის მთავრობის წინაშე. დილიჯანის რევკომის და ერევნის შეთანხმება დამყარებულია მთელ რიგ პირობებზე, რომელთაგან უმთავრესი ის არის, რომ სომხეთში რუსული ორიენტაციის წინააღმდეგ არ არსებობს მოწინააღმდეგე ძალა. ასეთი ნიადაგი მომზადებულია „დაშნაკციუტუნის" პარტიის მიერ და ამიტომ არ არის მოსალოდნელი დაბრკოლება კონტრ-რევოლიუციონერების მხრივ. ეს ნიშნავს, **რომ საჭიროება არ იქნება ბრძოლის გაწევისა სომხეთში რეაქციის წინააღმდეგ.** გარეშე ძალის შემოსევის საშიშროების საფრთხის მოშორებით იქ შეიძლება მთელი ენერგია მოხმარდეს შინაგან აღმშენებლობას, მხოლოდ საჭიროა იმ მხრით უზრუნველყოფა, რომ კონტრ-რევოლიუცია **გარედან არ შევიდეს სომხეთში.**

„დაბოლოს, ეროვნული საკითხი სომხეთში ადვილი მოსაწესრიგებელია იმიტომ, რომ ერები ცალკ ცალკე ცხოვრობენ და ეს გარემოება ძალიან გაადვილებს მათ ეროვნულ-კულტურულ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

„აი, ამგვარი საერთო გარემოებანი, ობიექტიური პირობები მოითხოვენ მჭიდრო თანამოქმედობას და სოლიდარულ შრომას სომხეთში, რის საშუალებით შესაძლებელი იქნება იქ სოციალიზმის განხორციელება.

„შეთანხმებული ტაქტიკის გარდა სხვა ყველა ტაქტიკა მხოლოდ დაასუსტებს აღმშენებლობითი ძალებს და ჩამოაშორებს სომხეთის მშრომელ ხალხს იმ მიზანს, რომელიც მდგომარეობს სასტიკი ბრძოლის გაწევაში ეკონომიურ ფრონტზე სოციალისტურ და რევოლიუციონურ ძალების შეერთებული მუშაობაში".

„წითელ" აზერბეიჯანში

„650 საათი ყოველდღიურათ!" ამ სათაურით ბაქოს „კომუნისტში" შემდეგი ცნობაა მოთავსებული: ბიბიეიბათის № 4 სასადილოს რევიზიის დროს სასადილოში გამოცხადდენ № 5 საწარმოოში „ზავოდკომი" და ინჟენერი ჩერნომორდიკოვი, რომლებმაც შემდეგი გამოარკვიეს: № 5 საწარმოოს მუშები დადიან დასახელებულ საწარმოოში და რიგში დგომით ყოველდღიურათ ჰკარგავენ 2—3 საათს და ვინაიდან ორ საწარმოოში (№№ 5 და 6) მუშაობს სულ 350 კაცი,—ამიტომ ყოველდღიურათ იკარგება 650 სამუშაო საათი. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ სასადილოში სადილისათვის დადის 900 კაცი მაშინ, როდესაც სურსათის ნაწილის უქონლობის გამო სასადილოში მხოლოთ 650 სადილი მზადდება.

პარტიულ მუშაკების განაწილება, პარტიულ მუშაკების უწესრიგოთ განაწილების შესახებ აზერბეიჯანის კომუნისტურ პარტიის ყრილობაზე მომხსენებელმა სტასოვამ, სხვათა შორის, განაცხადა: ჩვენ ხშირათ გვესმის საყვედურები პარტიულ მუშაკების უწესრიგოთ განაწილების შესახებ. მაგ., გამოჰყავთ მობილიზაციით რომელიმე ამხანაგი. ის მიჰყავთ ფრონტზე და იმის მაგივრათ, რომ მას ჩააბარონ რაიმე პასუხსაგები თანამდებობა,—მას ნიშნავენ უბრალო ჯარისკაცათ.

ფანჯრის შუშები. ბაქოს „კომუნისტ"-ში გამოქვეყნებულია შემდეგი ბრძანება: „დომკომებისთვის" ფანჯრის შუშების ჩაბარების შესახებ ბრძანების დამატებათ ცხადდება, რომ იმ სახლების მცხოვრებნი, სადაც არ არის ორ შუშიანი ფანჯრები, ვალდებულნი არიან ბაზარზე შეიძინონ შუშები და ჩააბარონ „დომკომებს". შუშების ფასი განაწილებული უნდა იქნეს სახლის ყველა მობინადრეთა შორის; ამ მოთხოვნილებიდან თავისუფლდებიან მხოლოდ ისინი, რომლებიც ფიზიკურ შრომას ეწევიან.

მოქალაქენო! ხალხის რჩეული შვილები ბრძოლის ველზე არიან. გაყინულ სანგრებში სხედან. დარაჯობენ ჩვენს თავისუფლებას, ჩვენს ქვეყანას. დაეხმარეთ ფრონტს.

პროფესიონალურ კავშირებში

გურიის პროფ. კავშირთა საბჭოში.

28 ოქტომბერს შედგა გურიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სხდომა. განსახილველი იყო შემდეგი საკითხები: 1) ძაფის სახვევი ფაბრიკის მუშათა ჯამაგირები. 2) მოხსენება მუშათა მაგიდის სარევიზიო კომისიისა.

გამგეობის თავმჯდომარე გრ. კოპლატაძე აცნობს კრებას, თფილისში არსებულ ძაფის სართავ და საქსოვ ფაბრიკების მუშა-ქალების ჯამაგირების შესახებ და წინადადებას აძლევს საბჭოს იმსჯელოს ადგილობრივ ძაფის სახვევ ფაბრიკის მუშათა ჯამაგირებზე.

აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ საბჭომ დაადგინა: ეთხოვოს ერობის გამგეობას, რათა მან იშუამდგომლოს სადაც ჯერ არს, რომ ხსენებული მუშები ჩარიცხულ იქნან მომარაგების ფონდში, ხოლო მანამდე მათ მიეცეთ სურსათის სამაგიერო 25%, დამატება 1 ოქტომბრიდან.

მომარაგების ფონდში ჩარიცხვის შემდეგ ეს მომატება მუშებს აღარ მიეცემათ.

მოხსენება მუშათა მაგიდის სარევიზიო კომისიისა გადაიდო მორიგი სხდომისათვის, ვინაიდან კომისიის მუშაობა არ დაუმთავრებია.

4 ნოემბრის საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა: 1) მუშათა მაგიდის სარევიზიო კომისიის მოხსენება. 2) საბჭოს გამგეობის მოხსენება.

სარევიზიო კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. დ. ნიკოლაიშვილი სასურსათო განმანაწილებელი კომისიის მუშაობის შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა რომ უკანასკნელი ხუთი თვის განმავლობაში სულ კომისიას ოთხჯერ მოუტანია და გაუნაწილებია სურსათ-სანოვაგე მუშა-მოსამსახურეებისათვის. მოტანილი საქონლის ღირებულება ადის მილიონ ნახევრამდე. კომისიის მუშაობაში იყო ბევრი დეფექტები, მაგრამ მიუხედავათ ამისა არ შეიძლება ითქვას, რომ მისი მუშაობა უნაყოფო იყო. კომისიამ წამოაყენა ახალი გეგმა, რომლითაც მომავალში უნდა სწარმოებდეს მუშაობა სურსათის განაწილების საქმეში.

საბჭომ სავსებით გაიზიარა სარევიზიო კომისიის აზრი და გადავიდა მორიგ კითხვაზე.

გამგეობის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. გრ. კუპლატაძე. ის ამბობს, რომ ამ ბოლო დროს გამგეობის მუშაობა მეტად გაცხოველდა. ამიტომ ყველა კითხვების საბჭოში გადმოტანა შეუძლებელია, ვინაიდან საბჭოს არა აქვს იმდენი დრო, რომ ყველა კითხვებზე პასუხი გასცეს. ამის გამო ზოგიერთ მეორე ხარისხოვან კითხვებზე გამგეობა საბჭოს დაუკითხავად აძლევს პასუხს. უფრო მნიშვნელოვანი კი გადმოაქვს საბჭოში და მისი დადგენილება მოჰყავს სისრულეში.

ამ დღეებში ქ. ოზურგეთში სახელმწიფო მოსამსახურეთა კავშირის თხოვნით გაიხსნა აფიცერთა ეკონომიური საზოგადოების განყოფილება, რომელშიაც წევრებათ მიიღებიან მხოლოდ სახელმწიფო მოსამსახურენი.

ჯარის-კაცთა და გვარდიელთა უნივერსიტეტში ლექტორთა ჯგუფმა დაიწყო სისტემატიურად ლექციების კითხვა. ლექციები მეტად შინაარსიანია და მუშებისთვის გასაგებიცაა. ამისთვის სასურველია, რაც შეიძლება მეტი მსმენელები მუშა მოსამსახურეთა წრიდან, რომელთათვისაც უმთავრესად დანიშნულია ლექციები.

გამგეობამ ინტერპარტიული კლუბის გამგეობაში წარმომადგენლად აირჩია ორი წარმომადგენელი და სთხოვს საბჭოს, დაადასტუროს ისინი.

გამგეობას სასურველად და აუცილებ-

ლად მიაჩია გურიის პროფ. კავშირების ჩამოვლა და საბჭოს მუშაობაზე მოხსენების გაკეთება.

აგრეთვე გამგეობა საჭიროდ სცნობს საბჭოს წესდების შემუშავებას. მანამდე გამგეობას სასურველად მიაჩნია საბჭოს შესავსებათ კავშირში წევრთა მოწვევა საბჭოში კოოპტაციის საშუალებით.

მოისმინა რა გამგეობის თავმჯდომარის ამხ. გრ. კოპლატაძის მოხსენება საბჭომ მიიღო შემდეგი დადგენილებანი: 1) საბჭო ავალებს გამგეობას, ყოველივე ზომები მიიღოს ქ. ოზურგეთში მაზრის მასშტაბით მუშათა მაგიდის დაარსებაზე, ვინაიდან მხოლოდ ამ უკანასკნელის დაარსებას შეუძლია გაუმჯობესება მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობის. საბჭო ადგენს, რომ მას შემდეგ, რაც მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრებამ დაადგინა ერთ ეკონომიურ ორგანიზაციაში გაერთიანება, ცალკე სახელმწიფო მოსამსახურეთა მიერ განყოფილების გახსნა ქ. ოზურგეთში არღვევს მუშა მოსამსახურეთა კოლექტიურ ნებას და მით შეაქვს ცუდი განწყობილება უკანასკნელთა წრეში.

მაგრამ, დგის რა ფაქტის წინაშე, საბჭოს დასაშვებად მიაჩნია კავშირის წევრთა მიერ ამ განყოფილების წევრებად ჩაწერა, რამდენადაც ეს არ შეუშლის ხელს ერთი მთლიანი ეკონომიური ორგანიზაციის დაარსებას. სახელმწიფო მოსამსახურეთა კავშირის ცდა სამინისტროს მიერ გადმოცემული სურსათის ცალკე მიღების შესახებ საბჭოს დაუშვებლად მიაჩნია, ვინაიდან ეს ხელს შეუშლის თვით მუშათა მაგიდის დაარსებას.

ამასთან, ითვალისწინებს რა საზოგადო კრების დადგენილებას, საბჭო ავალებს გამგეობას, მიმართოს ყველა კავშირების გამგეობათ, რათა ნოემბრის ჯამაგირებიდან კავშირის წევრებში მოგროვილი იქნას თანხა მთლიანი ეკონომიური ორგანიზაციის დასაარსებლად (თითო წევრზე 1,300 მან.).

2) სახალხო უნივერსიტეტის მსმენელთა შესახებ საბჭო ავალებს გამგეობას.

3) საბჭო ადასტურებს გამგეობის მიერ დადგენილ ნაბიჯს ინტერ-პარტიული კლუბის გამგეობაში წარმომადგენლობად ამხ. ვლ. ლლონტისა და ივ. პეიშვილის გაგზავნის შესახებ.

4) გურიის პროფ. კავშირების ჩამოვლა საბჭომ სასურველად აღიარა და გამგეობას დაავალა შესაფერი ზომების მიღება.

5) საბჭოს აუცილებლად მიაჩნია წესდების შედგენა და ირჩევს სამი კაცისაგან შემდგარ კომისიას, რომელსაც ავალებს რაც შეიძლება მალე შეადგინოს საბჭოს წესდება, რომელიც დასამტკიცებლად საბჭოსვე წარედგინება.

6) კოოპტაციით საბჭოში კავშირის წევრთა მოწვევა საბჭოს მისაღებად მიაჩნია, სანამ წესდება იქნებოდეს შემუშავებული. ამ ჟამად საბჭო იწვევს ამხ. სიმონ გოგვაძეს.

კრების დასასრულ მოხდა არჩევნები.

არჩეულია მუშათა მაგიდის გამგეობის წევრებად: 1) გიორგი კენკაძე, 2) სიმონ გოგვაძე, 3) ლუკა ლლონტი, 4) მირიან ზურაბაშვილი და 5) გერმანე თენიეშვილი. მუშათა მაგიდის სარევიზიო კომისიაში: 1) დომენტი თალაკვაძე, 2) ვასო ჩიტაიშვილი, 3) დათიკო ნიკოლაიშვილი. საბჭოს სარევიზიო კომისიაში: 1) ყარამან იმედაშვილი, 2) მიხაკო ნიკოლაიშვილი, 3) ილიკო ჩავლეიშვილი. საბჭოს წესდების შემმუშავებელ კომისიაში: 1) გრ. კოპლატაძე 2) გიორგი კენკაძე, 3) დათიკო ნიკოლაიშვილი.

8 ნოემბრის სხდომაზე განხილულ იქნა: 1) სახელმწიფო მოსამსახურეთა დამოკიდებულება მუშათა მაგიდისა და კოოპერატივისადმი. 2) დელეგაციის გაგზავნა თფილისში.

იქონია რა მსჯელობა სახელმწ. დაწესებულებათა დამოკიდებულებაზე მუშათა მაგიდისადმი და მთლიანი ეკონომიური ორგანიზაციის შექმნაზე, საბჭომ დაავალა სახელმწ. მოსამსახურეთა წარმომადგენლებს საბჭოში, მოიწვიონ კრება ამ კითხვის შესახებ უახლოეს დროში და მისი გადაწყვეტილება აცნობოს საბჭოს.

გაიგზავნოს თფილისში დელეგაცია შუამდგომლობით მუშათა მაგიდის მაზრის მასშტაბით დაარსებისა და სხვადასხვა დავალებებით.

არჩეულია დელეგატებად 1) გრ. კოპლატაძე და ვლ. ლლონტი.

საბჭოს მდივანი ალ. მგზაძე.

კულტურული მუშაობა ჯარში და გვარდიაში

27 ნოემბერს მოხდა საერთო კრება სახალხო გვარდიის საგანგებო ბათალიონის გვარდიელებისა. დღის წესრიგში იდგა ორი კითხვა: 1) კულტურულ-განმანათლებელი სექციის მოხსენება; 2) ახალი სექციის არჩევნები.

კრებას დაესწრო 350 გვარდიელი. თავმჯდომარედ იქნა არჩეული ილიკო ჟულელი. მდივნად აკაკი ჭუმბაძე.

სექციის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს სექციის თავმჯდომარე დავ. ორაგველიძე; ის ამბობს: საგანგებო ბათალიონს აქვს თითქმის სამი წლის ისტორია, მაგრამ მას გასულ წლის ნოემბრამდე არ ჰქონდა საშუალება კულტურულ მუშაობისათვის ხელი მიეყოდა.

1919 წ. 14 ნოემბერს შესდგა კომისია. 1920 წლ. იანვარში, ეს კომისია იქნა გადაკეთებული საგანგ. ბათალ. და საინჟინრო გუნდის კულტ. განმან. სექციათ. იანვრიდან დღემდე სექცია იყო თფილისში—7 თვე, ოთხი თვე კი—ფრონტზე. ამ ხნის განმავლობაში მან შესძლო გაეკეთებინა შემდეგი: მოაწყო სამკითხველო, რომელსაც თვით გვარდიელებმა შესწირეს თავის ღარიბ ჯიბეებიდან 30.000 მ. ახლა სამკითხველოს აქვს გამოწერილი 15 ცალი ჟურნალ-გაზეთი, ჰყავს 100-მდე ყოველდღიური მკითხველი. წიგნების რაოდენობა აღწევს 1200 ცალს. გახსნილ იქნა სკოლა, სადაც უსწავლელ გვარდიელებს ასწავლიან წერა-კითხვას. არის შედგენილი დრამატიული წრეც. როდესაც საგანგებო ბათალიონი იყო ფრონტზე, მაშინ იქ იგზავნებოდა დრამატიული დასი, რომელიც უმართავდა გვარდიელებს წარმოდგენებს. ასე იყო ახალციხეში, სადაც ორი წარმოდგენა იქნა გამართული. იქედან დაბრუნებისას იქნა გამართული წარმოდგენები ბორჯომში და ხაშურში. აგრეთვე დასი იქნა გაგზავნილი ქალცხინვალში. აქაც იქნა გამართული ორი წარმოდგენა.

22 ივლისს იქნა გამართული სექციის მიერ დიდი საღამო აზერბეიჯანის ფრონტზე დახოცილთა და დასახიჩრებულთა ოჯახების სასარგებლოთ. საღამომ დასტოვა 800,000 მან. ნახევარი იქნა დარიგებული დაზარალებულ ოჯახებს შორის, მეორე ნახევრიდან კი შესდგა ფონდი ბათალიონთან მომავალში უბედურ შემთხვევის დროს დახმარების აღმოსაჩენათ.

გამოტანილი იქნა მთავარი შტაბიდან 900,000 მან., რომლითაც იქნა გადაკეთებული პატარა თეატრი. ამ თეატრს დაერქვა სახელი „სახალხო გვარდიის სახლი კარლ კაუცკის სახელობაზე“. ქალ. გორის სასარგებლოთ მიწის ძვრისაგან დაზარალებულთათვის იქნა შეკრებილი ბათალიონში 28000 მან. სექციამ აგრეთვე გახსნა იაფფასიანი სასადილო, საპარიკმახერო, ამკინძავი სახელოსნო.

არის აგრეთვე პროპაგანდისტების კოლეგია, რომელნიც მეცადინეობენ გვარდიელებში შემდეგ საგნებიდან: ბუნების მეტყველებიდან, ისტორიიდან, გეოგრაფიიდან, პოლიტიკური მომენტი, რევოლიუციების ისტორია და სხვა.

სექცია თავის მუშაობით დიდ გავლენას ახდენს გვარდიელებზე, შეაქვს მათ წრეში რევოლიუციონური დისციპლინა და სოციალისტური წყობილებისადმი სიყვარულის გრძნობა.

მოხსენების შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: მოისმინა რა ამხ. ორაგველიძის მოხსენება სექციის გასულ მუშაობის შესახებ,—მოიწონა ის და გადადის ახალ სექციის არჩევნებზე.

სექციაში იქნენ არჩეულნი: დ. ორაგველიძე, ივ. ცომაია, პ. ჩიხუნაშვილი, ი. ჟულელი, ივ. კავაპაძე, ნ. კვერნაძე, ბ. გვასალია, ვ. ბარამიძე, ი. გულორდავა, ა. ჭუმბაძე, პ. სვანიძე, ს. ეღიბერიძე, ე. ბროკიშვილი, ა. ხოშტარია, ივ. ჟულელი. კანდიდატებათ: დ. რამიშვილი, ს. კვერელი, ი. გიორგაძე, ბოჭორიშვილი, ალ. მახარაძე.

—

29 ნოემბერს შესდგა სექციის სხდომა ს. ეღიბერიძის თავმჯდომარეობით. მდივნობდა გვასალია. იქნენ არჩეული სექციის პრეზიდიუმში: დავ. ორაგველიძე—თავმჯდომარეთ, ელისე ბროკიშვილი—თავმჯდ. ამხ. ხაზინადრად—ივ. კვაჭაძე—თავმჯდ. ამხ.ნაგათ, აკაკი ჭუმბაძე—მდივნათ, ბესარ. გვასალია, მდივნის ამხანაგათ. შემდეგ იქნა არჩეული დრამატიული კომისია და სასადილოს კომისია. დაენიშნა გამგეები სკოლას, სასადილოს, თეატრს და სამკითხველოს.

ა. ჭუმბაძე.

—

27 ნოემბერს საავტომობილო გუნდში გაიმართა დიდი საღამო. წარმოდგენილ იქნა დრამა „საშინელი შურის ძიება“ და კომედია „სიკვდილის შემდეგ“. იყო დივერტისმენტი და ბოლოს ცეკვა. საღამო კარგად ჩატარდა, რაც აიხსნება ჯარისკაცთა და ოფიცერთა საერთო თანამშრომლობით. სასურველია ჯარის სხვა ნაწილებიც წაბაძავდნენ მას. ვუსურვოთ, რომ ასეთი საღამოები ხშირათ გამართულიყოს.

№

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 6 დეკ. ნაძალადევის კალოუბინის შენობაში ამხ. მიხა ძამაშვილის თავმჯდომარეობით შესდგა ს. ს.-დ. მ. პ. პირველი რაიონის წევრთა საზოგადო კრება, რომელზედაც ამხ. ნოე რამიშვილმა გააკეთა მოხსენება მომენტის შესახებ.

მომხსენებელი დაწვრილებით აღწერს სომხეთის ეხლანდელ მდგომარეობას, აღნიშნავს, თუ რა მიზეზებმა გამოიწვია „დაშნაკცუტიუნის“ პარტიის პოზიციის შეცვლა. იგი ამბობს, რომ ამ პარტიის მუშაობა, როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაში, მუდამ იყო სომხის ერის მშრომელი მასის დამღუპველი. დაშნაკცუტიუნის პარტია დღიდან თავის წარმოშობიდან მუდამ ებრძოდა მეზობელ სახელმწიფოებს; მისმა პოლიტიკამ გამოიწვია სომხეთის იზოლიაცია. ეს პარტია წარმოადგენდა მხოლოდ სამხედრო შტაბს და არ უყვარდა მშრომელთა სურვილების გამომხატველი, მათი ინტერესების დამცველი. ის აგროვებდა ფულს მდიდრებისაგან „ზინვორების“ დასაქირავებლათ თავიანთ მიზნებისათვის.

შინაურ პოლიტიკაში მას არც ერთი სოციალური რეფორმა არ გაუტარებია. სომხეთში თუმცა არ არიან მემამულეები, მაგრამ არის ერთი დიდი მემამულე—ეკლესია, რომელიც ხელუხლებლათ დატოვა დაშნაკცუტიუნის პარტიამ; მან ვერ შესძლო თავის შინაური პოლიტიკით მშრომელი ხალხის დაინტერესება სახელმწიფოს დაცვის საქმეში. პარტია ყოველდღე ჩასჩიჩინებდა თავის ხალხს, რომ ის საჭიროებს გარეშე ძალის შველას—„ოპეკუნს“; ის ჰკლავდა თავის ხალხში თვითმოქმედების უნარს.

სომხეთის ჯარი მიუვალ ციხეს-ყარსს აბარებს თითქმის უბრძოლველათ თავის ისტორიულ მოსისხლე მტერს. ამ გვარათ დაშნაკცუტიუნის პარტიამ თავის მოქმედებით მიიყვანა თავისი ერი ფიზიკურ განადგურებამდე.

შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს, თუ რა უნდა გააკეთოს ჩვენმა დემოკრატიამ დღევანდელ მომენტში, როდესაც მეორები ჩვენ საზღვრებს მოადგომიან და ცდილობენ ათასგვარ მახინაციებით ჩვენი ომში ჩათრევას. ასეთ დროს საქ. დემოკრატიამ უნდა გამოიჩინოს სიფხიზლე წინდახედულობა; მოიქცეს ისე, როგორც მოქმედებდა და გამარჯვებული გამოდიოდა ბევრ ასეთ გართულებულ მდგომარეობიდან. საქართვ. დემოკრატიას არასოდეს არ უწარმოებია აგრესიული პოლიტიკა. მას ყოველთვის ხელში ეჭირა სოლიდარობის დროშა და დღესაც, თუ დასჭირდა, მედგრათ დაიცავს თავის წითელ დროშას და არავის მისცემს ნებას თავის დემოკრატიულ სახელმწიფოს განადგურებისას.

მომხსენებელი რწმენას გამოსთქვამს, რომ ჩვენი დემოკრატია დღევანდელ გართულებულ მდგომარეობიდანაც სხვის დაუხმარებლათ გამოვა გამარჯვებული. კრებას დაესწრო საკმაო რიცხვი მუშებისა. მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „მოისმინა რა მოხსენება სომხეთში მომხდარ გადატრიალების შესახებ, კრება აღიარებს:

დაშნაკცუთიუნის პარტია დღიდან დაარსებისა სომხის ერს უცხო, იმპერიალისტურ ძალებზე დაყრდნობას აჩვევდა და მეზობელთა წინააღმდეგ აგრესიულ ნაბიჯებისაკენ მოუხმობდა. ნაცვლათ ერთა თანასწორობისა და სოლიდარობისა, ის ერთა შორის შუღლს და მტრობას სთესავდა. მას არასოდეს არ შეეძლო ხელი შეეწყო ხალხის თვითმოქმედებისა და მის ორგანიზაციულ დარაზმვისათვის.

მოკავშირეთა სახელმწიფონი, რომელთაც სომხის ერი მსოფლიო ომში თავის იარაღათ გამოიყენეს, ერთხელაც არ ცდილან სომხეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკისათვის რეალური დახმარების აღმოჩენას. ასეთ პოლიტიკას ანტანტა განაგრძობდა მაშინაც, როცა სომხეთს გარეშე იმპერიალისტური ძალა ორივე მხრიდან შემოესია და ის უთანასწორო ბრძოლაში სულს ლაფავდა.

სომხეთში განმეორდა აზერბეიჯანის ტრაღედია. ნაცვლათ შინაური სიმტკიცის შექმნისა და ბრძოლის განგრძობისა, დაშნაკცუთიუნის პარტიამ დამპყრობ იმპერიალისტურ ძალებთან მოლაპარაკება გამართა და თავის ერს, იარაღაყრილსა და ხელ ფეხ შებორკილს, უცხოელთა უღელი დაადგა.

საქართველოს დემოკრატია ძლიერი იყო და არის თავისი რევოლიუციონური შეგნებით და ორგანიზაციული შეკავშირებით. მისი იმედი იყო და არის მხოლოდ საკუთარ ძალ-ღონეზე დაყრდნობა და მთელი მშრომელი ხალხის ამოქმედება. ის არასოდეს არ გამოდიოდა უცხო იმპერიალისტურ ძალთა იარაღათ, და ეს შეადგენდა და შეადგენს მისი სიმტკიცისა და ძლიერების სათავეს. მშრომელი ხალხის ბედს ჩვენში მუდამ თვითონ ხალხი განაგებდა და რევოლიუციის მომავალს ის სჭედდა.

საქართველოს მშრომელი ხალხი მუდამ მეზობელთა მიმართ მშვიდობიანობის და შეთანხმების პოლიტიკას აწარმოებდა. ის თავს არავის ესხმოდა, ხოლო ამავე დროს თავის უფლებებს და რევოლიუციის მონაპოვართ ფეხ ქვეშ არავის ათელვინებდა.

დღეს, როცა რესპუბლიკის საზღვრებს საფრთხე უახლოვდება,—ჩვენ მოუწოდებთ მშრომელ ხალხს შემოიკრიბოს დამფუძნებელ კრებისა და მთავრობის გარშემო დემოკრატიის უფლებათა დასაცავად და რევოლიუციის განვითარების უზრუნველსაყოფათ.

დემოკრატიზმით სოციალიზმისაკენ!

გაუმარჯოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ საქართველოს!

გაუმარჯოს ინტერნაციონალს!

გ. ფოფხაძე.

მუშათა შორის

ტყიბული. 19 ნოემბერს შესდგა ძველი მაღაროების მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრება. კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ვლადიმერ შავლაძე, მდივნათ ვ. დარსაძე. გასარჩევი იყო მომავალი საავათმყოფო კასათა წარმომადგენლებს კონფერენციის კითხვა. მოხსენებას აკეთებს საორგანიზაციო კომისიის წევრი ს. კილაძე. შეკითხვების შემდეგ კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „ტყიბულის საავათმყოფო კასის წევრთა საზოგადო კრებამ მოისმინა რა ამხ. ს. კილაძის მოხსენება სოციალურ დაზღვევის და საქართველოში არსებულ საავათმყოფო კასათა კონფერენციის მოწვევის საორგანიზაციო კომისიის მუშაობის შესახებ, იწონებს საორგანიზაციო კომისიის მიერ მიღებულ დებულებებს მუშათა დაზღვევის საკითხში და იმედს გამოსთქვამს, რომ მომავალი საავათმყოფო კასათა კონფერენცია სათანადოთ გადასჭრის მუშათა დაზღვევის საკითხს.

ზ-ძე.

—

თფილისი. ამას წინათ „ერთობაში“ იყო აღნიშნული რესპ. სამხედრო საწყობის მუშების მდგომარეობა, მაგრამ ძალიან გაკვრით. მართლაც რომ ყოვლათ უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფებიან ხსენებულ ნივთ საწყობის მუშები. მუშას, რომელსაც 7—8 სული სარჩენი ჰყავს ეძლევა 300—400 თუმანი თვეში.

ამ საწყობში არის ე. წ. საქარხნო კომიტეტი, რომლის მუშაობა ერთობ სუსტობს.

სამართლიანობა მოითხოვს ვთქვას, რომ საწყობის კანცელარია ვერა სდგას თავის სიმაღლეზე.

პროვინცია

შემოქმედი. (გურია). აქ არსებობს ორი კოოპერატივი: ერთი სოფ. წითელმთაში და მეორეც სოფ. ფატარში. ორივეს ძალიან ცოტა აქვთ საქონელი. შემოქმედის ეგრეთ წოდებულ ცენტრს სახელად ჯვარი ჰქვია. აქ არსებობს ორი სასწავლებელი: უმაღლეს დაწყებითი 2 კლასიანი და ოთხ კლასიანი. სწავლას გურული ხალხი ძალიან ეწაფება და ახლო-მახლო სასწავლებლის უქონლობის გამო ბევრი მოწაფეები მოდიან შორეულ სოფლებიდანაც.

ვინაიდან სასწავლებლის შენობა დაუსრულებელია, ის ვერ იტევს მოწაფეთა მთელს რიცხვს და ამისათვის სასწავლებლის ადმინისტრაციას უქირავებია თითო-ოროლა ოთახი რამოდენიმე კერძო სახლებში. მასწავლებელთა საბჭომ გადაახდევინა თითო მოწაფეს 100 მან. და მეტიც შეშის შესაძენად.

წინათ აქ იმართებოდა კულტურულ-განმანათლებელი საღამოები. მაგრამ ამ ჟამად ნავთის უქონლობის გამო საღამოების მართვა შეუძლებელია. შემოქმედის საზოგადოების მცხოვრებლებს უკვე მოუტანიათ საჭირო მასალა ტრამვაის გასაყვანად, რომელმაც შემოქმედის საზოგადოება უნდა შეუერთოს ქ. ოზურგეთს.

მთელი ეს მასალა, რომელიც ეხლა ძნელი შესაძენია,—ჰყრია შარა გზაზედ უპატრონოდ და ეგ ნგება. ვიმედოვნებთ, რომ ერობა ამ ახლო მომავალში ყურადღებას მიაქცევს ამ საქმეს და თავაშვებულ მეეტლეების მადას შეზღუდავს.

წელს იშვიათი ავდრები იყო. 3 თვის განმავლობაში სულ წვიმდა. შემოქმედის საზოგადოების გლეხობის უმეტესს ნაწილს საკუთარი მიწა ძლიერ ცოტა ჰქონდა და ამისათვის მათ მიეცათ სახნავ-სათესი მიწა სხვა ალაგებში, სახელდობრ სად. ნატანების მახლობლად. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ძნელია იქ წასვლა და მუშაობა ასეთ ავდრებში, სიმინდის მოსავალი დიდი იყო, მაგრამ მისი მოგროვება ბევრს ნახევრადაც ვერ მოუხერხებია. ზოგ სოფლებში მოსავალი სუსტი იყო. ვაშლი და ლობიო ცოტა მოვიდა; მხალი და ნიგოზი თითქმის სულ არ მოსულა. რომ წვიმა და ქარი არა,—ყურძნის მოსავალი გვარიანი იქნებოდა.

მ. ხადრაძე.

სად. მუხრანი. აქ ისე არ გაივლის საფოსტო მატარებელი № 3, რომ სოფ. მუხრანის ჟურნალ გაზეთი და წერილები არ დატოვონ და სამაგიეროთ მუხრანის კორესპონდენციებს სად. ქსანში სტოვებენ მუხრანში გასაგზავნათ. ფოსტის მოსამსახურეებმა უნდა იცოდენ, რომ არსებობს სად. მუხრანი, მუხრანი კი სოფელია, სადაც სადგურ ქსანიდან იგზავნება კორესპონდენციები. საჭიროა ამას თვით მოსამსახურეთაგან მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, რომ კორესპონდენციები ადგილზე ჩაბარდეთ პატრონებს.

X.

წერილი რედ. მიმართ

ღია წერილი არჩილ ჯაჯანაშვილისადმი.

„სახ. საქ.“-ში № 638-ში მოთავსებული იყო თქვენ მიერ ხელმოწერილი ფელეტონი ამ სათაურით: „ცხოვრების ერთი ფურცელი“. ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო თავის დროზე ვერ მოგეცით პასუხი.

საქმე შემდეგშია:

გაზეთ „ერთობაში“ (გაზეთის ნომერს არ აღვნიშნავთ) მოთავსებულ სოფელ ნიჩბისის მცხოვრებ ხუტაშვილის წერილიდან მოჰყავთ თქვენ ფელეტონში შემდეგი: აღნიშნულ გლეხ ხუტაშვილთან მისულა კომისარი და მოუთხოვია ეთქვა მას მისთვის, თუ სად იმალება მისი შვილი ლადო ხუტაშვილი (თქვენი გადმოცემით ყაჩაღათ ცნობილი), რომელიც მთავრობის განკარგულებით დაჭერილ უნდა იქმნესო, რადგან მამას ვერ უთქვამს ან არ მოუსურვებია ეთქვა, თუ სად იმალება მისი შვილი, ამისათვის კომისარს მოხუცისათვის უცემნია, რის შემდეგ კი უთქვამს მამას, რომ მის შვილს იცნობენ „ნახალოვკის ბიუროში“ პატიოსან კაცად. რადგან ლადო ხუტაშვილს, როგორც ცნობილ ყაჩაღს —თქვენი სიტყვით იცნობენ „ნახალოვკის ბიუროში“ პატიოსან კაცად, აქედგან კი გამოგყავთ თქვენ დასკვნა, რომ „ნახალოვკის ბიურო“ ყოფილა ყაჩაღების თავშესაფარი და შემდეგ ამისა უყენებთ აღნიშნულ ბიუროს მთელი რიგ ბრალდებებისას. ვინაიდგან წარსულში არსებობდა და ამ ჟამადაც არსებობს ნახალოვკაში რამდენიმე ბიურო, ამიტომ გთხოვთ სიმართლის აღსადგენათ დაუყონებლივ დაგვისახელოთ რომელ ბიუროს შესახებ ლაპარაკობთ თქვენ „სახალხო საქმის“ მე-638 ში მოთავსებულ ფელეტონში.

ს. ს. დ მ. პარტიის პირველი რაიონის კოლექტივის პრეზიდიუმი.

თავმჯდომარე: გ. მახტაძე.

ამხანაგები: ძამაშვილი. მ. შელიძე გ.

6 ქრისტეშობისთვე, 1920 წ.

ქ. თფილისი.

P. S ვთხოვთ „სახალხო საქმის“ რედაქციას მოათავსოს მახლობელ ნომერში ეს წერილი.

რედაქტორი ლევან წათაძე

განცხადებანი

ოთხი კლასის მოწმობაზე
მოუსამზადებელ ჯგუფს ვადგენ
ივნისისათვის. პლეხანოვის ქ 25. (შესავალი ალექსის ქუჩის კუთხიდან). 9—12 ს. 4—6. მაჩაიძის ბინა.
(3931 6—1)

კბილის ექიმი.
ნიკოლოზ თეიმურაზის ძე
ხორავა
იღებს კბილით ავადმყოფებს ყოველ დღე გარდა კვირა უქმე დღეებისა დილის 10—2 საათამდე, საღამოობით 4—7 საათამდე ვერის დაღმართი (ოლღას ქ. კუთხეზე) სახლი № 1. მელიქ-აზარიანცისა, ბინ. № 20. (5 იან.)

ექიმი ა. დ. კეკელია
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნიუ“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 3 იანვ.

ქალი ექიმი
მარიამ ლუკას ასული
თოფურიძე პანიევი
იღებს საბებიო და ქალის სნეულებიან ავათმყოფებს ყოველ დღე საღამოს 4—6 საათ. ველიამ ნოვის ქ. № 10, ტელეფ. 12—66. (2 იანვ.)

კერძო
სამკურნალო
სპეციალურად ვენერიულ, საშარდე ორგანოების, სიფილისით და კანის სნეულებით ავადმყოფთათვის
ექიმ
ე. მ. მძინარიშვილისა
შეშხაპუნება „606“ და „914“.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9—2 ს. და საღ. 4—8 ს. მისამართი—კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტისა და კირკის (კიროჩნი) ქუჩ. № 22. ტელეფ. 10—87. (28 დეკ.)

ექიმი
ი. ვ. ხანდამოვი
სპეციალურად სიფილისი („914“ და „606“ შეშხაპუნება) კანის, ვენერიულის და საშარდო-სასქესო ავათმყოფობანი ავათმყოფების მიღება დილის 12—2 ს. და საღამოს 6—8 ს. საპიორის ქ. № 35 სამინისტროთა შენობის ახლო (ყოფილი კადეტთა კორპუსი). (1 იანვ.)

ექიმი
ე. ი. კალანდაძე
დებულობს შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე, ვენერიული სიფილისით (წამ. „606“ და „914“) ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. ტელეფონი 18—95. 7 იანვ.

ექიმი ქ. შ. პართენოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე. რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (23—დეკ.)

ექიმი მ. ა. შაჰრაძე
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი ოლღას ქ. № 33. 7 იანვ.)

ექიმი
ა. ს. ვადაჭკორია
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს დილ. 12—2 ს. საღამოს 4—6 ს. ოლღას ქუჩა № 35. (18—დეკ.)

ექიმი
ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭ-ნაწლავების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. ახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46. 12 დეკ

ექიმი
ზ. ი. ოქროპირიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რეტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი

ექიმი
ი. ა. ტერ-ავაკუმოვი
გადავიდა კირკის ქუჩაზე № 49, მიხეილის პრ № 23. ვარანცოვის ძეგლის ახლოს და განაახლა ავადმყოფების მიღება. სპეციალურად სიფილისი, ვენერიული (მწვავე და ხრონიკული ტრიპერი) და კანის ავათმყ. „606“ და 914“ შეშხაპუნება. მიღება დილის 11—12 საათ. საღამოს 6—8. ქალების საღამოს 5—6 საათ. (13 დეკ.)

ქირურგიული და ქალთა სნეულების
საავათმყოფო
სამშობიარო განყოფილებით ექიმის
გოკიელისა
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141, პროჟექტორ „აპოლოს“ მახლობლად ტელეფ. № 5—97 დასაწოლ ავათმყოფებს და ფეხმძიმე ქალებს იღებენ ყოველ დროს სრული პანსიონით. (28—დეკ.)

ექიმი
რეზო მაჩაბელი
კანისა და ვენერიული სნეულებანი (წამლობა ახალი და ძველი სუსუნატის) სიფილისი (606—914 შეშხაპუნება) ავადმყოფებს იღებს კაცებს 9—11 ს. დილ. და 6—8 ს. საღ. ქალებს 11—12 ს. დილ. მოსკოვის ქუჩა № 4, ზემელის აფთიაქის პირდაპირ. 12—დეკ.

ექიმ
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული (ტრიპერი), სქესობრივი უძლურება ნდისკოპია (საშარდე მილის). ახალი-ბებუთოვის ქ. № 5. სასახლეს უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით. (პარალელურად). მიღება დილით 10 11 ნახ. ს. საღ. 5 7 საათამდე. 13—დეკ.)

დოქტორი
ბ. ბ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა—პლევრი და გულისა. იღებს ახალ რენტგენ-ელექტრო კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე.
11 დეკ.

კბილის ექიმი
ე. ტ. ლორის-მელიქოვი
ჯიბლაძისა
დებულობს კბილის ტკივილით ავათმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63

სამკურნალო
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
მიხეილ გედევანიშვილისა
დილით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები, ყირდანოვის ქ., 20, ტელეფ. 7—91 (1—იანვ.)

გამოვიდა გასასყიდათ
დიაგრამები
მათი მნიშვნელობა საეროვნო სკოლების და სტატისტიკოსებისათვის
ვლ. ტკაჩოვ ახობაძისა.
ფასი 100 მან.
უმთავრესი საწყობი ეროკავშირში ქურ. „ეროვნის“ ბინაზე (რუსთაველის პრ. № 24.) წიგნი იყიდება აგრეთვე წერა-კითხვის გამავრც. საზ. და განათლების წიგნის მაღაზიებში. (6. 6—1)

საკუთარი სტამბა ერთობის ქუჩა № 4